“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№7 (271)
აგვისტო
2021 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამესამე წელი "LITERATURULI MESKHETI"

დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისთვის!

მიხეილ ბახტაძე,
პროფესორი

დიდგორის ბრძოლა

1. პოლიტიკური ვითარება დიდგორის ბრძოლის წინ

1092 წელს, მალიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ, სელჩუკთა სახელმწიფო შიდა დაპირისპირებამ მოიცვა. ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა რუმის სასულთნო ყილიჩ-არსლან I-ის მეთაურობით. სირიაში მალიქ-შაჰის ძმამ, ამირა თუთუშმა ჩაიგდო ძალაუფლება ხელში. ცალკე იყო ქირმანის სასულთნო. ხორასანში აჯანყდა ალფ-არსლანის ვაჟი არსლან-არღუნი. ასეთ ვითარებაში მალიქ-შაჰის ქვრივმა, თურქან-ხათუნმა, ძალაუფლების თავის ხელში აღება გადაწყვიტა და ჯერ სულთნად თავისი მცირეწლოვანი ვაჟი, მაჰმუდი გამოაცხადა, ხოლო შემდეგ კი ისპაჰანში მყოფი მალიქ-შაჰის 12 წლის ვაჟის, ბარქიარუკის წინააღმდეგ დაიძრა. ეს უკანასკნელი რეიში გაიქცა, სადაც სულთნად იქნა გამოცხადებული. 1093 წელს ბარქიარუკმა დაამარცხა თურქან-ხათუნი. ერთი წლის შემდეგ კი, მოულოდნელად, ჯერ თურქან-ხათუნი გარდაიცვალა, ხოლო რამდენიმე თვეში მისი ვაჟიც.

ბარქიარუკმა მდგომარეობა განიმტკიცა, მაგრამ ამჯერად მის წინააღმდეგ ბიძამისი, ამირა თუთუში გამოვიდა. 1095 წელს გადამწყვეტ ბრძოლაში რეისთან ბარქიარუკმა გაიმარჯვა. თუთუში ბრძოლაში დაიღუპა. მის ვაჟებს შორის კი ხანგრძლივი დაპირისპირება დაიწყო.

არც ამჯერად დამყარდა სასულთნოში ხანგრძლივი მშვიდობა. 1096 წელს დაწყებულ პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას ისიც დაემატა, რომ მალე ბარქიარუკს მისი ძმა, აზერბაიჯანისა და არანის მმართველი, მუჰამედი აუჯანყდა. ძმებს შორის ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და საბოლოოდ ზავით დამთავრდა. ძმები შეთანხმდნენ და, მართალია სულთნობა ბარქიაროკმა შეინარჩუნა, მის მემკვიდრედ მუჰამედი გამოცხადდა. მშვიდობა ხანმოკლე აღმოჩნდა და მალე ძმებს შორის ბრძოლა ახალი ძალით განახლდა. ხელახალი ზავი 1104 წელს დაიდო, რომლითაც სასულთნო ფაქტობრივად ორად გაიყო. სულთნის ტიტული ორივე ძმამ მიიღო. ბარქირუკს „დაექვემდებარა იმპერიის ბირთვი ქ.რეი და ჯიბალი, ტაბარისთანი, ფარსი, ხუზისთანი, ბაღდადი და ჰარამანია. მუჰამედს მიეკუთვნა ჩრდილო-დასავლეთ ირანი, სირიის და ალ-ჯაზირა (ალ-ჯაზირა ეწოდება პლატოს ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. დღეს მოქცეულია ირანის, ერაყისა და თურქეთის შემადგენლობაში) დიარ-ბაქირითა და ქ.მავსილითურთ.“

1104 წლის დეკემბერში ბარქიარუკი გარდაიცვალა. 1105 წელს მუჰამედი ერთადერთი სულთანი გახდა.

მალიქ-შაჰის მემკვიდრეებს შორის მიმდინარე ბრძოლამ სელჩუკთა ძლიერება შეარყია და დასავლეთ ირანის, ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე რამდენიმე ახალი სამფლობელო ჩამოყალიბდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მოსულის, დამასკოს, ანტიოქიისა და ტრიპოლის საემიროები იყო. აქ ხელისუფლება ართუკიდების, ზანგიდების, სალგურიდებისა და სხვ. საგვარეულოების ხელში აღმოჩნდა. ეს უკანასკნელნი სასტიკ და მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ ჯვაროსნების მიერ დაარსებულ იერუსალიმის სამეფოსთან, ანტიოქიის სამთავროსთან და ედესისა და ტრიპოლის საგრაფოებთან.

სელჩუკთა სასულთნოში შექმნილი ვითარებით ისარგებლა დავით აღმაშენებლმა და ჯერ 1099 წელს ხარკის გადახდა შეუწყვიტა, ხოლო 1104 წელს კახეთ-ჰერეთი შემოიერთა და ერწუხის ბრძოლაში განძის ამირაც დაამარცხა. 1110 წელს ქართველებმა სამშვილდე და ძერნა აიღეს. იმავე წელს დავით მეფემ არანში ილაშქრა, თუმცა ეს სამხედრო ოპერაცია მაინცდამაინც წარმატებული არ აღმოჩნდა. საპასუხოდ სელჩუკებმა საქართველოს სასაზღვრო რაიონები მოარბიეს. ალბათ სწორედ ამ დროს მოხდა მათი 10000 კაციანი ჯარის შემოჭრაც თრიალეთში, რომელიც მეფემ 1500 კაციანი რაზმით, ღამის მოულოდნელი თავდასხმით დაამარცხა და გააქცია.

როგორც გოჩა ჯაფარიძე აღნიშნავს, საქართველოს მეფის სამხედრო მოქმედებები „დაემთხვა დიდ სელჩუკთა პირველ სერიოზულსა და დიდ სამხედრო კამპანიას ჯვაროსანთა, სახელდობრ, ედესის საგრაფოს წინააღმდეგ. შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა სულთანს არ შეეძლო გამოეყენებინა საქართველოში თავის ერთგულ ქვეშევრდომთა სამხედრო ძალები ვანის ტბის რეგიონიდან და ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან, რადგანაც ისინი ჯვაროსნებს ეომებოდნენ. ამავე დროს მას არ შეეძლო გაეგზავნა თავისი რეგულარული ჯარი ედესის წინააღმდეგ, რადგან ის აშკარად დავით IV-სთან ბრძოლებით იყო დაკავებული. ამრიგად, სელჩუკთა ძალები ორ ფრონტზე აღმოჩნდა დაქსაქსული. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ხომ არ არსებობდა რაიმე კავშირი ედესის გრაფ ბალდუინ II-სა და დავით IV-ს შორის? ამ კითხვაზე წყაროები პასუხს 1110 წლისთვის არ გვაძლევენ და გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია.“ არსებობდა თუ არა შეთანხმება საქართველოს მეფესა და ედესის გრაფს, თუ სხვა რომელიმე ჯვაროსან მმართველს შორის, საინტერესო და მნიშვნელოვანია. თუმცა, მთავარია ერთი მომენტი, – სელჩუკთათვის საკმაოდ მძიმე იყო ბრძოლა ერთდროულად ორ ფრონტზე – საქართველოსა და ჯვაროსნების წინააღმდეგ. მათთვის იდეალური სიტუაცია იქნებოდა, ჯერ ერთი, პრობლემის მოგვარება (ჯვაროსნები ან საქართველო, თანმიმდევრობას დიდი მნიშვნელობა არ აქვს) და შემდეგ მთელი ყურადღების ერთი მიმართულებით გადატანა. XII საუკუნის დასაწყისში მუსლიმთათვის უმთავრესი პრობლემა მაინც ჯვაროსნები იყვნენ. სავარაუდოდ, სელჩუკები საქართველოს ჯერ კიდევ არ მიიჩნევდნენ ძლიერ და საშიშ მოწინააღმდეგედ. მუსლიმ მმართველთა შორის პირველი ვინც მიხვდა, რომ საქართველო ნელ-ნელა სერიოზული და ძლიერი ძალა ხდებოდა, განძის ამირა იყო. ცხადია, ეს, პირველ რიგში, საქართველოსთან მეზობლობით იყო განპირობებული. სწორედ განძის ამირამ სცადა ქართველთა მეფის დამარცხება და საქართველოს სამეფოს გაძლიერების შეჩერება, თუმცა ერწუხის ბრძოლაში მარცხი იწვნია. სხვა მუსლიმ მბრძანებელთა ყურადღება კი ჯერ ისევ ჯვაროსნებისკენ იყო მიმართული.

დავით მეფე კარგად იყენებდა სელჩუკთა სახელმწიფოში არსებულ შიდა კონფლიქტებს, ასევე ძირითადი ძალების ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლას და წარმატებით განაგრძობდა საქართველოს გაერთიანებასა და გაძლიერებას. გათავისუფლებული იქნა რუსთავი, ლორე, გიში.

1118 წელს სულთანი მუჰამედი გარდაიცვალა და სასულთნოში პირველობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო. ერთმანეთს მუჰამედის ვაჟი, მაჰმუდი და მუჰამედის ძმა, სანჯარი დაუპირისპირდნენ. მართალია სულთნის ტიტული სანჯარს დარჩა, მაგრამ ეს სასულთნოს ერთიანობის შენარჩუნებას არ ნიშნავდა. 1119 წელს სასულთნო, ფაქტობრივად, დაიშალა. „სანჯარის კონტროლს დაექვემდებარა აღმოსავლეთ ირანი, მაზანდარანი, კუმისი, დამავანდი და ქ.რეი ჯიბალში... სანჯარმა მაჰმუდს იკტად უბოძა მიწები ხორასანიდან – ანატოლიამდე და სირიამდე, მაგრამ პრაქტიკულად მაჰმუდი ფლობდა მხოლოდ დასავლეთ ირანსა და ერაყს ... რომ არ დაეშვა მაჰმუდის გაძლიერება, სანჯარმა მის ძმებს იკტად სხვადასხვა სამფლობელოები უბოძა“. მაჰმუდის ერთმა ძმამ, თოღრულმა ავე, სავე და ზენჯანი მიიღო. მეორე ძმამ, მასუდმა კი – მოსული, ალ-ჯაზირა და აზერბაიჯანი.

დიდგორის ბრძოლის წინ დაპირისპირებაა სულთან მაჰმუდსა და დუბაისს შორისაც. ამ უკანასკნელის წაქეზებით, სულთანს მისი ძმა, მასუდი აუჯანყდა. 1120 წლის ივნისში მაჰმუდმა დაამარცხა და შემოირიგა მასუდი. შემდეგ კი დუბაისის წინააღმდგ დაიძრა. ამ უკანასკნელმა თავი ილ-ღაზთან შეაფარა.

ამასობაში შეიცვალა ვითარება ჯვაროსნებთან მიმართებაში. ჯვაროსნებმა მართალია თავის სახელმწიფოების აღმოსავლეთი საზღვარების დაცვა ციხესიმაგრეების სისტემის მშენებლობით ცადეს, – კრაკ დე შევალიე (ანტიოქია-ბეირუთის გზაზე), ტორონი (სამხრეთ ლიბანში, ტვიროსი-დამასკოს გზაზე), ბელვუარი (Belvoir), მაგრამ ეს ვერ აჩერებდა სელჩუკთა თავდასხმებს. ჯვაროსნები თავადაც ცდილობდნენ შეტევითი ოპერაციების წარმოებას, ალეპოსა (ხალები) და დამასკოს დაკავებას, თუმცა უშედეგოდ.

XII საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს შეიქმნა ვითარება, როდესაც სელჩუკებმა ნელ-ნელა შეძლეს ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის შემდეგ მიღებული დარტყმისაგან „გონს მოსვლა“. ვერ ვიტყვით, რომ უპირატესობა აშკარად მუსლიმთა მხარეს გადავიდა, მაგრამ ევროპელთაგან მომდინარე პირ-

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

„„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთ რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი ჭეშტიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აჭურობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ.“

ალვით ალიმპერბერი

ისტორია

◀ დასაწყისი გვ. 1

ველმა საშიშროებამ უკვე გაიარა, მოხერხდა მათი შემოტევის შეჩერება. უფრო მეტიც, ჯვაროსნები თავდაცვაზე გადავიდნენ. ამავე დროს, უკვე სერიოზულ და ანგარიშგასაწევ ძალად იქცა საქართველოს სამეფო.

სრულიად ბუნებრივია, რომ შექმნილ სიტუაციაში უკვე საქართველო გახდა მთავარი მოწინააღმდეგე. ამაზე მეტყველებს კოალიციის მონაწილე მუსლიმ მმართველთა მრავალრიცხოვნებაც.

გ.ჯაფარიძის აზრით, „განძელ-ტფილელ-დმანელნი“ ვაჭრები ჩიოდნენ დავით IV-ზე მაჰმუდთან, როგორც უმაღლეს ინსტანციასთან, მაგრამ სულთანმა ვერ შეძლო ხელი შეეშალა ქართველებისთვის. მაჰმუდი ამიერკავკასიაში ტუღრილისგან იყო ბლოკირებული. მას არ აღმოუჩენია რეალური დახმარება კოალიციისთვის და, ვფიქრობთ, რომ ის ვერ დანიშნავდა ილ-ღაზს სპასალარად იმ ლაშქრისა, რომლის შეყრაც უბრალოდ არ ძალუძდა. საუკეთესო შემთხვევაში მაჰმუდს შეეძლო მოეწონებინა კოალიციის მიზნები და თავი შეეკავებინა ტუღრილისა და დუბაისის სამფლობელოების წინააღმდეგ მტრული გამოსვლებისგან ... სელჩუკიანთა საგვარეულოს მეთაური, ხორასნის სულტანი სანჯარი აქტიურად ერეოდა ერაყის სასულტნოს საქმეებში და თავისი ინტერესები ჰქონდა ამიერკავკასიაშიც... სანჯარს, რომელიც დაინტერესებული იყო სულტან მაჰმუდის მეტოქის, ტუღრილის გაძლიერებით, შეეძლო დახმარება აღმოეჩინა ძმისშვილისთვის ქართველების წინააღმდეგ, როგორც მორალურად, ისე სამხედრო ძალითაც... საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულ მუსლიმთა კოალიციის მთავარ ძალებს ქმნიდნენ ერთი მხრივ, არანის სელჩუკები ტუღრილ იბნ მუჰამედისა და ათაბაგ ქენ-თოღდის ხელმძღვანელობით, სულტან სანჯარის აქტიური მხარდაჭერით და, მეორე მხრივ, ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზი დიარ-ბაქრის თურქმანებითა და სხვა მისი მოკავშირეებით.“

საინტერესო ვითარება შეიქმნა სასულთნოში 1121 წლის ზაფხულში. საქართველოს წინააღმდეგ კოალიციის შექმნამ დროებით შეწყვიტა სასულთნოში არსებული ურთიერთ დაპირისპირება. დავით მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემზადნენ სულთან მაჰმუდის მოწინააღმდეგეები – თოღრული და დუბაისი (ილ-ღაზს ამ დროისთვის უკვე მოგვარებული აქვს თავისი ურთიერთობა სულთანთან). თოღრულის უკან დგას სანჯარი, რომელსაც თავისი ინტერესები აქვს მაჰმუდთან დაკავშირებით. რაც საინტერესოა და მნიშვნელოვანი, თავად მაჰმუდი არ ცდილობს მისთვის, ამ ერთი შეხედვით, მომგებიანი სიტუაციის (მისი მტრები დაკავებული არიან სხვა მიმართულებით ბრძოლით და შეუძლია მეორე ფრონტი გაუხსნას) გამოყენებას და არ აქტიურობს. „მთელი ეს დრო მაჰმუდმა თავის ლაშქართან ერთად ბაღდადში უმოქმედოდ გაატარა“. მაჰმუდი სწორედ იმიტომ არ აქტიურობს, რომ ილ-ღაზს, დუბაისს, თოღულს ხელი არ შეუშალოს საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის მომზადებასა და განხორციელებაში. ყოველივე ეს ერთ რამეზე მიუთითებს, – საქართველოს მეფის დამარცხებით დაინტერესებულია ყველა. კიდევ ერთი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება: არა მარტო დაინტერესებული არიან დავით მეფის დამარცხებით, არამედ იმ კონკრეტულ მომენტში საქართველოა მათთვის ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე, რომლის წინააღმდეგაც მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ყველა შესაძლო რესურსი.

აქ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, – რატომ არის დროის იმ კონკრეტულ მონაკვეთში საქართველო ყველაზე საშიში მუსლიმი მმართველებისთვის? აქ რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი. პირველი – მუსლიმთა მიერ თბილისის დაკარგვის საფრთხე. „თბილისის დაკარგვით მუსლიმებს ხელიდან ეცლებოდათ ასევე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული პუნქტი“; მეორე – საქართველოს კიდევ უფრო გაძლიერების საფრთხე. თბილისის დაკავებით „ქართველთა მეფე თითქმის ასრულებდა ქვეყნის გაერთიანებას და მას ვეღარაფერი დააბრკოლებდა, რომ უფრო აქტიურად ებრძოლა სელჩუკთა წინააღმდეგ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით“. ამ მოსაზრების გავრცობაც შეიძლება. ცხადი იყო, რომ გაძლიერებული საქართველო სამომავლოდ, ალბათ, არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამხრეთ კავკასიით და გააგრძელებდა შეტევას სამხრეთით (აკი ასეც მოხდა თამარ მეფის დროს. საკმირიასია გავიხსენოთ თუნდაც ორი სამხედრო ოპერაცია: ხლათისა და ჩრდილოეთ ირანის მიმართულებით). ასეთ შემთხვევაში საფრთხე დაემუქრებოდა ჩრდილოეთ ირანს, არანს, ჩრდილოეთ ერაყს, ალ-ჯაზირას ანუ სანჯარის, მაჰმუდის, თოღრულის, ილ-ღაზის სამფლობელოებსა თუ გავლენის სფეროებს; მესამე – ჯვაროსანთა მოკავშირის დამარცხება. ეს დებულება მრავალი მეცნიერის მიერ არის გამოთქმული. მუსლიმთათვის ძნელი იქნებოდა ბრძოლა ჯვაროსანთა წინააღმდეგ თუ მუდმივად ექნებოდათ ზურგიდან ქართველთა შემოტევის შიში.

2. მოწინააღმდეგეთა ჯარების რაოდენობა დიდგორის ბრძოლაში

1121 წლის 12 აგვისტოს ქართველებმა, დავით აღმაშენებლის მეთაურობით, უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს სელჩუკთა კოალიციურ ლაშქარზე. მრავალი მეცნიერი შეეხო თავის ნაშრომში დიდგორის ბრძოლას. მიუხედავად ამისა, ამ ბრძოლასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი კვლავაც იწვევს დავას მკვლევართა შორის. მათ შორის, ერთ-ერთი უმთავრესია მოწინააღმდეგეთა ჯარების რაოდენობის საკითხი.

ამ ბრძოლის შესახებ რამდენიმე მემატიანე მოგვითხრობს, თუმცა მათი მონაცემები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ძალიან მნიშვნელოვანია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება, რამეთუ ავტორი მეფესთან საკმაოდ დაახლოებული პირი იყო. მით უფრო გასაოცარია, რომ მემატიანე ძალიან მოკლედ აღწერს ბრძოლის მიმდინარეობას და, საერთოდ, არაფერს ამბობს მოწინააღმდეგეთა ძალების რიცხოვნების შესახებ. მასთან დაცულია მხოლოდ ზოგადი ცნობა სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის შესახებ, რომ „შეითქუნეს და შეიმტკიცნეს სიმრავლითა, ვითარცა ქჳშაჲ ზღვსაჲ, რომელთა ვერ იტევდა ქუეყანაჲ და აგჳსტოსსა ათორმეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თჳთ ფერჴთა



ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა.“ ისტორიკოსი მიგვანიშნებს, რომ მუსლიმთა ლაშქარი ძალიან მრავალრიცხოვანი იყო. კიდევ უფრო გასაკვირია ის ფაქტი, რომ მემატიანე საერთოდ არაფერს ამბობს დავითის მხედრობის რაოდენობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დიდგორის ბრძოლის შემდგომი პერიოდის აღწერისას დავითის ისტორიკოსი ორჯერ ასახელებს მეფის ლაშქრის რაოდენობას და ორივეჯერ დაახლოებით ერთნაირს. პირველად, როდესაც საუბრობს 1123 წელს სულთნის შემოქრაზე შირვანში – „ხოლო ესმა რაჲ ესე მეფესა, მსწრაფლ ჴმა-უყო ყოველთა სპათა თჳსთა და უმყის სიტყჳსა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოჲსა მისისანი. და წარემართა სულტანსა ზედა; ყივჩაყნი ოდენ აღთუალულ იყვნეს მაშინ და იპოვა შემბმელი კაცი ორმეოცდაათი ათასი.“ მეორედ – 1124 წელს ანისის გათავისუფლებასთან დაკავშირებით – „და აგჳსტოსსა კ მოვიდეს მეწიგნენი ანელთა თავადთანი და მოაჴსენეს მოცემაჲ ქალაქისა და ციხეთაჲ ბოჟანას წყაროთა ზედა მდგომსა. და მყის წიგნები წუევისაჲ მიმოდაისრბოლა და მესამესა დღეესა სამოცი ათასი მჴედარი წინაშე უდგა. წარემართა და მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჟჴრველად, და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი.“

დავით აღმაშენებლის თანამედროვე ისტორიკოსი, რომელიც, და ეს მნიშვნელოვანია, ძალზედ დაახლოებული იყო მეფესთან, წერს, რომ 1123-1124 წლებში მეფეს 50-60 ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი ყავდა. ცხადია, დავით აღმაშენებელი ბრძოლაში ყველა მეომარს არ წაიყვანდა. მათი ნაწილი აუცილებელი იყო გარნიზონებში და საზღვრის სხვადასხავა მონაკვეთებზე. ამიტომ, ალბათ, შეგვიძლია დავასკვნათ, – საქართველოს მეფის სრული სამობილიზაციო რესურსი 60 ათასზე მეტი იქნებოდა.

აქ დგება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, – რამდენად სანდოა მემატიანის ცნობები? მეცნიერ-მკვლევართა ნაწილი სკეპტიკურად (ზოგი ძალიან სკეპტიკურადაც კი) უყურებს შუა საუკუნეების ისტორიკოსთა ცნობებს ჯარების რაოდენობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დამოკიდებულებას აქვს სერიოზული საფუძველი. შუა საუკუნეების მემატიანეები ხშირად, მართლაც, არარეალურ რიცხვებს ასახელებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი ყველა ინფორმაცია მცდარი და ყოველთვის გაზვიადებულია ჯარების რაოდენობა.

თუ არ ვენდობით მემატიანესთან დაცულ ცნობას, ლაშქრის რაოდენობის შესახებ, მაშინ გვრჩება ერთადერთი გამოსავალი – ცალკეული დაშვებებისა და ვარაუდების საფუძველზე თავად ჩავატაროთ გამოთვლა და ასე გავარკვიოთ ეს საკითხი. თუმცა, ამ გზით მიღებული შედეგი თავადაც საკმაოდ პირობითია, რადგან გამოთვლა ხდება პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობების, მათი ინტერპრეტაციისა და სხვადასხვა დაშვების გამოყენებით და ერთი მათგანის შეცვლაც კი ცვლის საბოლოო შედეგს.

ამრიგად, გვაქვს ორი გზა: პირველი – ვენდოთ მემატიანეს; მეორე – თავად ჩავატაროთ გამოთვლა.

ჩვენი აზრით, შუა საუკუნეების ისტორიკოსებთან დაცული ცნობები ჯარების რაოდენობის შესახებ, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტულ კვლევას საჭიროებს. შესაძლოა ერთიდაიგივე მამატიანესთან დაცული ერთი ცნობა გაზვიადებული იყოს, მეორე კი – რეალური.

რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან დაკავშირებით? ჩვენი დაკვირვებით, ქართველი მემატიანე რეალურ ციფრებს ასახელებს, ერთი შემთხვევის გარდა. ეს ერთი შემთხვევა ეხება დავითის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში შემოჭრილი სელჩუკების განადგურებას 1110 წელს, სამშვილდის ციხის აღების შემდეგ. „ოდეს სამშჳლდე და ძერნა აიღეს მას წელსა მოვიდა ძალი სულტანისაჲ და ყოველი თურქქმნილობაჲ, კაცი ვითარ ასი ათასი, უგრძნეულად სიმარჯჳთა. ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა. ცნა რაჲ მიმწუხრი მოსვლაჲ მათი თრიალეთს, ღამე ყოველ წარვიდა მისეულითა კაცითა ათას ხუთასითა, რამეთუ ესეოდენნი დახუდეს მას წინაშე“. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში დასახელებულია 10 ათასი კაცი, საქმე აშკარად გვიანდელი გადამწერის შეცდომასთან გვაქვს და, თავდაპირველად, ქართულ ტექსტშიც 10 ათასი უნდა ყოფილიყო (საინტერესოა, რომ რიგ ნუსხებში 200 ათასიც კი წერია).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვენდობით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობებს. ამიტომ სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია ვარაუდი დავით მეფის მიერ, ამა თუ იმ კონკრეტული ბრძოლისთვის, 60-ათასიანი ჯარის შეკრების შესაძლებლობის შესახებ. არ გვგონია, რომ საქართველოს სამობილიზაციო რესურსი განსხვავებული ყოფილიყო 1121 (ამ დროისთვის სამხედრო რეფორმა უკვე დამთავრებულია) და 1123-1124 წლებში. გასათვალისწინებელია, რომ მეფე ბრძოლაში ყველა მეომარს არ წაიყვანდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვიღაც უნდა დარჩენილიყო საგარნიზონო სამსახურის აღსასრულებლად და საზღვრების დასაცავად.

დავითის ლაშქრის რაოდენობის დადგენა შედარებით უფრო ადვილია. გაცილებით რთულია მუსლიმთა კოალიციური ჯარის რაოდენობის განსაზღვრა. დიდგორის ბრძოლაში მოწინააღმდეგეთა რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ცხადია, ამას, მნიშვნელოვანწილად, წყაროებში არსებული მონაცემების მრავალფეროვნება განაპირობებს.

ივ.ჯავახიშვილი მუსლიმთა კოალიციური ჯარის შემადგენლობას 300 ათასი კაცით განსაზღვრავდა. რაც შეეხება იბნ ალ-ასირთან დაცულ ინფორმაციას, რომ მუსლიმთა ლაშქარი 30 ათას კაცს მოითვლიდა, ამასთან დაკავშირებით მეცნიერი შენიშნავდა, – „არაბულს დედანში ნათქვამია მხოლოდ ათასი, ხოლო ათასის რაოდენობა აღნიშნული არ არის. დეფრემერის 30 000 აბულ ფარაჯისდა მიხედვით აქვს აღდგენილი. მაგრამ თავდაპირველს იბნ ალასირის დედანში იქნებ 300 000 ან 400 000 იყო, როგორც მათე ურჰაელსა აქვს მოხსენიებული.“ რაც შეეხება ქართულ ჯარს, ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ დავით მეფეს 61 ათასი კაცი ყავდა: 40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყივჩაღი, 5 ათასი ალანი და 1 ათასი ფრანგი.

ს. კაკაბაძემ საგანგებო გამოკვლევა უძღვნა დიდგორის ბრძოლას, სადაც აღნიშნა, მუსლიმთა კოალიციური ჯარის საერთო რაოდენობა იყო 210 ათასი კაცი. „აქედან ილღაზს თავდაპირველად ჰყავდა 150 ათასი (მათე ედესელის ცნობა), + 10 ათასი (არაბეთის მფლობელის ჯარი)=160 ათასი. დანარჩენი (210 ათასი - 160 ათასი =) 50 ათასი მოუყვანიათ მელიქ თოლულ-ათაბაგ ქენ-თოღდის და დვინელ ამირას არსლანს.“ რაც შეეხება ქართველთა მხედრობას, მეცნიერი ეყრდნობა მათე ედესელის ცნობას და ამატებს: „რადგანაც ფრანგი რაინდები თავიანთი თანმხლები მეაბჯრე-მსახურებით ორი ათას კაცამდე არიან საგულისხმებელნი, ქართველების ჯარში ბრძოლის დაწყებისას სულ 57,5 ათასი კაცია სავარაუდებელი. ხოლო გოტიე, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ქართული სამართებოდან მომდინარე ცნობებით უნდა სარგებლობდეს, ქართველების ჯარს ანგარიშობს 80 ათასი კაცის რაოდენობით. ამის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ უფლისწულ დიმიტრის ჯარში, რომელიც დიდგორწინის ველზე არ იმყოფებოდა, თავიდანვე უნდა ყოფილიყო (80 ათასი - 57,5 ათასი=) 22,5 ათასი კაცი. უფლისწულ დიმიტრის, როგორც ვნახავთ, ზემო დიდგორიდან ვერეს წყლის ხეობით უნდა შეესრულებინა მძლავრი საფლანგო დარტყმითი ოპერაცია.“ ეხებოდა რა 200 რაინდის საკითხს, მეცნიერი ვარაუდობდა, რომ რაინდებთან ერთად ბრძოლის ველზე მათი მეაბჯრე-მსახურებიც უნდა ვივარაუდოთ, სულ 2.000 კაცი.

რაინდებთან დაკავშირებით კ.კაციტაძე შენიშნავდ: „200 რაინდს რამდენიმე ასეული თანმხლები მებრძოლი (არარაინდი) უნდა ხლებოდა. ამის გარდა, მაშინ მძიმე სარაინდო (მეტალის მძიმე საჭურველი, თორით დაცული) მხედრობა მსოფლიოში არავის ჰყავდა. მეცნიერი არ გამორიცხავდა, რომ რაინდთა რაოდენობა შესაძლოა მეტიც ყოფილიყო.

ივ.შაიშმელაშვილი სელჩუკთა ჯარს დაახლოებით 200 ათასი კაცით განსაზღვრავდა.

შ.მესხია, დავითის მხედრობის რაოდენობას მათეოს ურჰაეცის ცნობის თანახმად განსაზღვრავს, თუმცა აქვე საუბრობს 200 ფრანგზე. რაც შეეხება მუსლიმთა კოალიციას, მეცნიერი თავად რაიმე კონკრეტულ ციფრს არ ასახელებს, მხოლოდ მოჰყავს ივ.ჯავახიშვილის მოსაზრება 300-ათასიანი ლაშქრის შესახებ. საინტერესოა, რომ შ.მესხია ეთანხმება ცნობას, რომლის მიხედვითაც პირადად დუბაისს 10 ათასი კაცი ყავდა. იბნ ალ-ასირის ცნობასთან დაკავშირებით კი შენიშნავს: „თხზულების არაბულ დედანში მხოლოდ „ათასი“ წერია, მაგრამ რამდენი ათასი, აღნიშნული არ არის. ზოგი მკვლევარი იბნ-ალ-ასირის ამ ნაკლულ ტექსტს, ალ-ჯაუზის მიხედვით, 30 000-ით აღადგენს, ზოგი კიდევ 300 000-ით.“

მ.ლორთქიფანიძე ეთანხმება შ.მესხიას მოსაზრებას მოწინააღმდეგე ძალთა რაოდენობის შესახებ.

რ.მეტრეველი დავით აღმაშენებლის დაქვემდებარებაში მყოფი მეომრების რაოდენობის განსაზღვრისას მთლიანად ეყრდნობა მათეოს ურჰაეცის ცნობას. სელჩუკთა კოალიციასთან დაკავშირებით კი შენიშნავს, რომ ძალიან გადაჭარბებულია მათეოს ურჰაეცისა და გოტიეს ცნობები და მოჰყავს ივ.ჯავახიშვილის აზრი სელჩუკთა 300-ათასიანი ლაშქრის შესახებ.

ა. გოგოლაძე საქართველოს სამეფოს ლაშქრის განსაზღვრისას მათეოს ურჰაეცის ცნობას ეყრდნობა. სელჩუკთა კოალიციას კი 300 ათასზე მეტით განსაზღვრავს.

ა.მიქაბერიძე ეთანხმება მოსაზრებას, რომ დავით აღმაშენებელს 56 ათასი მებრძოლი ყავდა (ცხადია, ეყრდნობა მათეოს ურჰაეცის ცნობას). სელჩუკთა ლაშქრის რაოდენობასთან დაკავშირებით კი მოკლედ აღნიშნავს, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მუსლიმთა ჯარს, ძირითადად, 100-250 ათასი მეომრით განსაზღვრავენ.

ჯ.შარაშენიძე თვლის, რომ მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი 100-150 ათასი მეომრისგან შედგებოდა.

გ.გვინჩიძე დავითის მხედრობაში 55600 მეომარს ვარაუდობს, ხოლო სელჩუკთა ჯარზე წერს, რომ – ზოგი ცნობით ის 560-600 ათასი კაცისგან შედგებოდა.

ს.მარგიშვილის მიხედვით, „დავით აღმაშენებლის არმია შედგებოდა ფეოდალური ლაშქრისგან, მეფის პირადი გვარდიისა და მოქირავნეთა კონტინგენტისგან, რის გათვალისწინებითაც მისი საერთო რაოდენობა დიდგორის ბრძოლის დროს, შეიძლება ყოფილიყო მაქსიმუმ 20-25 ათასი მეომარი (15-20 ათასი ფეოდალური ლაშქარი, რამდენიმე ათასი გვარდიელი და მოქირავნეები), საიდანაც გარკვეული ნაწილი (ალბათ, 5-7 ათასი) სტრატეგიული მნიშვნელობის ციხესიმაგრეებისა და სხვა პუნქტების დასაცავად, საპატრულოდ, კომუნიკაციების უზრუნველსაყოფად და ა.შ., იქნებოდა გამოყოფილი, ხოლო საველე არმიის სიდიდე, რითაც დავით აღმაშენებელი უნდა დაპირისპირებოდა მუსლიმური კოალიციის 30-ათასიან არმიას, მაქსიმუმ 15-18 ათასი მეომრის ფარგლებში უნდა ყოფილიყო მოქცეული.“

როგორც ვხედავთ, დიდგორის ბრძოლაში საქართველოს მხედრობის რაოდენობის განსაზღვრისას მეცნიერ-მკვლევართა უდიდესი ნაწილი სომეხი ისტორიკოსის – მათეოს ურჰაეცის ცნობას ეყრდნობა (მნიშვნელოვანია, რომ ურჰაეცი დიდგორის ბრძოლის თანამედროვეა). ამ უკანასკნელის თანახმად, 1121 წელს განძის ამირამ 30-ათასიანი ჯარით ილაშქრა საქართველოში, მოარბია გარკვეული ადგილები, ტყვედ ჩაიგდო მოსახლეობა და უკან გაბრუნდა. საპასუხოდ დავით მეფემ შეკრიბა თავისი ლაშქარი, დაედევნა მტერს და სასტიკი მარცხი აგემა მას. ქართველებმა მოკლეს 30 ათასი სელჩუკი და დაატყვევეს მათი ცოლ-შვილი, ხელთ იგდეს დიდი ქონება. გადარჩენილ თურქთა ერთმა ნაწილმა დახმარება სულთანს სთხოვა, მეორე ნაწილმა კი – ილ-ღაზს. ბიზანტიის აღმოსავლეთით მდებარე მიწებზე, ქირმანის ჩათვლით ილ-ღაზმა 150 ათასი კაცი შეკრიბა. თუმცა ჩათვალა, რომ ჯარის ეს რაოდენობა საკმარისი არ იყო და ელჩები გაგზავნა სამხრეთში, არაბთა ქვეყნებში, დუბაის სადაყის ძესთან. ეს უკანასკნელი 10 ათასი კაცით შეუერთდა ილ-ღაზის ჯარს. ამასობაში განძის სულთანმა მალიქმა შეკრიბა 400 ათასი კაცი და ასევე შეუერთდა ილ-ღაზს. ისინი საქართველოში იმ გზით შეიჭრნენ, რომელზეც, დიდგორის გავლით, ქალაქი თბილისი მდებარეობს. დავით მეფემ შეიტყო რა მტრის შემოჭრა, 40 ათასი კაცით გაემართა საბრძოლველად. მათ გარდა მეფეს ყავდა 15 ათასი ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ჯვაროსანი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მაყვალა გონაშვილი

აღმაშენებელი – ივერთა დიდება

მხოლოდ პირჯვრის წერა როდია უფლის რწმენა,
მხოლოდ შეძახილი გმირობა როდია.
დგებიან სულეთიდან შემკრთალი მამები
და ღამით არეულ სიზმრებში მოდიან.
როდესაც წყალიც კი წამით ჩაიძინებს
და ცაზე ობოლი ვარსკვლავი ბრწყინდება,
ვინ მიცქერს მთვარიდან, წმინდა გიორგია
თუ აღმაშენებელი – ივერთა დიდება.
„ვაშენე, ანგრიეთ, ვამტკიცე საზღვრები,
დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს.»
მე კი იმ ბინდბუნდშიც თვალებს ვერ ვუსწორებ,
ვარ შიშნაჭამი და უჭმელი,
მიწიდან ზეცამდე რა ხელმა აზიდოს
ეჭვებით დაბზარული ჭურჭელი?
თვალნო, რა არ ნახეთ, როგორ არ დამევსეთ,
რა ძალა გქონიათ, თვალებო,
მოძმესთან მოშუღლენო, ოქროსთან მოშურნენო,
მტერთან მიმნდობნო და მხდალებო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
სანამდის ძმანო და მამანო,
ჩემო სატკივარო, ჩემო საფიცარო,
ჩემო დარღვეულო სამანო.
ჭრილობა გახსნილა და გველის ამბორი
არ მშველის წამლად და მალამოდ.
უნდა სხივით გქსოვო, უნდა ცრემლით გკემსო
ჩემო დაფლეთილო ალამო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
სანამდის დანო და დედანო,
არ თქვას უკეთურმა, შეხედეთ, ქართველნი
მხოლოდ სატირალში სხედანო!
სანამდის ვახაროთ ჩვენს ბაღში ეკალი,
მტრის კარზე ვარდი და პირიმზე?
რა ვუთხრა ჩემს შვილებს, რა თვალით შევხედო?
ან მკვდრებთან რა პირით მივიდე?
უდედოდ ზეცისკენ გზას ვერ გაიგნებენ
ბუდეს შერჩენილი ბარტყები,
ხიდი ვართ ნამყოდან მომავლის ნაპირამდე,
ვაი ჩვენ, თუ ერთხელ ჩავტყდებით!
ეს მტკვარი დუდუნებს თუ კვნესის დავითი,
«დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს.

ბაღათერ არაბული

დ ი დ გ ო რ ი

(ფრაგმენტი პოემიდან)

„მეფემან დავით უშიშმან და ყოვლად უძრავმან
გულითა... წინა განაწყო სპა მისი და...
ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ჰყო“.

ქართლის ცხოვრება

I

...გარდადგა დავითი ლაშქარითურთ დიდგორს,
ცა და დედამიწა იძროდა თითქოს...

ვინ ხმალს და ვინ ჰორალს სინჯავდა დინჯად,
აღმაშენებელი თეთრონზე იჯდა…

და ხელმოჩრდილული გამზერდა სივრცეს,
ბურუსით დაფარულ მშობლიურ მიწებს,

იქ, სადაც სულ მალე მტრის ლაშქარს მოსრავდა
ჯერაც უძლეველი ჯარი ქართლოსანთა...
...ღუოდა ცისპირი ცისფრად და ალისფრად,
წინასწარ ილხენდნენ შაჰიც და ხალიფაც...
წინასწარ უხდიდნენ მადლობას ალაჰს,
„იყოფდნენ“ მიტაცებულ მიწებს და ალაფს...

წინასწარ ზეობდნენ და უჩნდათ არაფრად
ქართლის დამარცხება – სპარსსაც და არაბსაც...

II

...ხოლო თვით მეუფე და მეფე ქართველთა
ჯარში თავგანწირვის ნაღვერდალს ანთებდა...

...ქართველთა მხარდამხარ ყივჩაღთ, ოვსთ, მოფ-
რანგეთ
უთხრობდა თუ მტერი სად მივფანტ-მოვფანტეთ:

– შობიდან ჩვენ ბედი გვებედა ასეთი:
რამდენჯერ დავემხეთ, იმდენჯერ აღვზევდით!..

აროდეს დავცემულვართ არც რწმენით, არც სუ-
ლით
და ჩვენი ძეგლია ჩვენივე წარსული...

ბრძოლებით მოგვიყვანა აქამდე გზაწვრილმა
და მამაზეციერი დღეს როგორ გაგვწირავს...

მისულებს სიკვდილ-სიცოცხლის პირზე,
ქართველნო, აქედან უკვდავება გვიმზერს!..

ნურავინ იფიქრებს ბრძოლიდან გაქცევას,
დღეს ჩვენს მოღალატეს რისხვა არ ასცდება...

დღეს ჩვენი სიცოცხლეც, სიკვდილიც, დიდებაც
უპირველესაც სამშობლოს სჭირდება!..

სხვის მონად, მორჩილად და ხასად ყოფნას
არყოფნა ჯობია ამ წუთისოფლად!..

III

...და უცხო ხმაურით ცხენთა და აბჯართა
დავითის ლაშქარი საომრად დაჯარდა...

ფარ-ხმალის ჟღარუნით, ნაღარით და ბუკით
თითქოს ამოვარდა მთებს შორის ქარბუქი...

ორასი რჩეული, ლომგული ორასი
შიშისმგვრელ ყიჟინით ჩაება ბრძოლაში...

მხარი მხარს უმაგრეს და ზვავად შექუჩდნენ,
შუბისებრ ეკვეთნენ შემცბარ თურქ-სელჯუკებს...

შეკრთა მტრის ლაშქარი უეცარ თავდასხმით,
შეკრთა ორას კაცთან სამასიათასი...

მარჯვნიდან დავითმა თავის ფრთა გაშალა,
ზევიდან დაუარა დემეტრეს ლაშქარმა...

გამოღმით თვით მეფე, გაღმით ძე დავითის
რისხვად მოვლენილნი იყვნენ დუშმანისთვის...

IV

„მოიკლა მუსლიმანთაგან უთვალავი
რაოდენობა და დარბეულ იქნენ“...

(ალ-ფარიკი, მუსლიმანი ისტორიკოსი)

ყორნების ჭვარტლი ეფინა ბორცვებს...
...მზის გადასვლამდე მომხდური ხოცეს,

და ოდეს დადგა საღამოს ჟამი,
ოდეს ბრძოლების მიწყნარდა ჩქამი,

ოდეს ცისპირი ბინდით გამუქდა,
უკუ სვლა იწყეს სპარსთა და თურქთა...

არევ-დარევით, შიშით და ძრწოლით
გარდავლეს რბენით მათ ველი ბრძოლის...

...მრავალი ტყვედ იქმნა, მრავალიც მოისრა
იმ დღეს მტერ-დუშმანი საქართველოისა...

ნუნუ ძამუკაშვილი

დიდგორის ომი

გასულა წელი ცხრაასი
დიდგორს ზეიმობს ქვეყანა,
იმ გამარჯვების ბაასით, -
რომ მუდამ კოცნოს მზემ ყანა.

იმ გამარჯვების ყიჟინით
მომხდურს რა ყოფა დამართეს,
და დროშა გამარჯვებისა
დიდგორის ქედზე აღმართეს.

დღეს აგვისტოა, – თორმეტი, –
იმ გამარჯვების – დღე - რიცხვი;
გმირობამ სძლია მომხდურებს
მტერი კი იყო, – ურიცხვი!

სძლია დავითის ლაშქარმა, -
სიტყვაც რომ ჰქონდა ფხიანი...
დაიცვა ჩვენი სამშობლო,
ზურმუხტოვანი, მთიანი.

და.. აქ გამოჩნდა დავითის
სიბრძნე, სიქველე და გონი,
მის ლამაზ სახელს ამშვენებს
ეს გამარჯვება, - დიდგორის.

ფრიდონ ხალვაში

ცხრაასი წლის კარი

მოდის ხალხის გულის ცეცხლზე
ანანთები სანთელით.
მოდის აღმაშენებელი,
ცხრაასი წლის ქართველი.

მაშინ მთელი ჭოროხი რომ
ჩვენში ჩვენთვის დიოდა,
ნიკოფსიით დარუბამდი
ჩვენსას ჩვენი ჰქვიოდა.

ეს აჭარა, იმერხევი,
ტაო-შავშეთ-კლარჯეთი,
მამულს მეწინავედ ჰყავდა
სიბრძნით და სიმარჯვეთი.

მაშინ, ვინაც შეჰკრა ქართველთ
ერი ერთად ერადა,
ვინც ქვეყანას დაებადა
ბატონ-პატრონ-ბელადად,
დღეს მიწაში წევს და გულზე,
თეთრად ნისლაკალთული
ფეხს აბიჯებს სასოებით
გაზაფხული ქართული.

და ნიავი ჩვენებური, –
მთების სუნთქვა-სურნელი,
ჩივის: ამგვარ სიძლიერეს
სამშობლოსგან სულ ველი.

და მეც თითქოს მეჩვენება:
მტრის რამდენის გამდენი,
კაცი აღმაშენებელი –
ცხრაასი წლის ქართველი,
მოდის, რომ ძველ საქართველოს
ყველა მხარე და კუთხე,
მისებურად, დიდგორულით,
ერთმანეთთან დავბრუნდეთ.

ავთანდილ ივანიძე

ისევ აქვეა დიდგორი

ქართული გენის ფესვები
კვლავ გვაკავშირებს დიდგორთან...
და დავიბრუნებთ რაც მომხვდურს
ჩვენს მიწა-წყლიდან მიჰქონდა.

სამშობლო არ იყიდება
და არც სხვისდება ჩუქებით,
მტერს ისე დავსჯით, ვითარცა
დავსაჯეთ თურქ-სელჯუკები.

ისევ აქვეა დიდგორი,
ბრძოლის დროა და ამინდი...
ქვეყნად გულადიც ბევრია,
მაგრამ... ჯერ არ ჩანს დავითი!

ფარნა რაინა

დიდგორი *...

„ძლევაი საკვირველი“...

მემატიანე

უკან -
ცეცხლის გზა,
ცეცხლის
წინ - გორიც, -
უთანასწორო ბრძოლით
ნათარსი...
გამოვიარეთ ერთი -
დიდგორი,
გასავლელი გვაქვს -
ალბათ,
ათასი...

ვართ: მასპინძლობით,
მიწყივ,
გართული...
მხრებზე შევისვით, -
ძმურად,
ხიზანიც...
ჩვენი -
სუნთქვა და...
ჩვენი -
მიზანი:
მზესავით ენთოს
გენი, -
ქართული...

ვინ - სვავი გვიტევს,
ხოლო,
ვინ - ქორი, -
ვნებად,
ნათელი ზეცის
წანისვლის...
დღესაც ომია,
ომი -
დიდგორის,
ომი -
შამქორის,
ანდა - კრწანისის?!..

გარშემო გვივლის
მტერი, -
ვერაგი,
რომ... გვცეს მახვილი -
ფხიზელს,
მძინარეს...
არ გაგვიხდია -
ჯაჭვის
პერანგი,
რადგან... ომია -
დღესაც, -
მძვინვარე...

ბევრჯერ ვიყავით:
ზღვარზე -
გაქრობის,
რისხვა დავითის
ელვას
ჰგავდა - ცით...
ოკეანეში -
მტრობის,
მზაკვრობის
საოცარია:
როგორ -
გადავრჩით?!..

დრო, ხან,
სიკეთით,
ხან კი -
ქარად დის...
კარგს და ავს -
კიდევ,
რამდენს,
დავითვლით?!..
სიამაყეა
მუდამ,
მარადის:
სიბრძნე -
დავითის,
ხმალიც -
დავითის!..

წარსულზე ფიქრით
განა -
ვერთობით?!..
განცდები, ახლაც,
ხიდად -
იდება...
დიდგორი:
ჩვენი, ძალა, -
ერთობის!!!..
დიდგორი:
ჩვენი ერის -
დიდება!!!..

ᲙᲐᲮᲐᲑᲔᲠ ᲯᲐᲣᲔᲚᲘ

შაბათს მოუხდა გავლა ყანებზე

მოწაფეები მისდევდნენ, ის კი მიდიოდა, ოდნავ მხრებში მოხრილი, თმები დალალებად ეშვებოდნენ მის გამხდარ მხრებზე. ნაბიჯი მტკიცე ჰქონდა. საზოგადოდ, ყველანი ჩინებულად თუ უჩინრად, მას შეჰყურებდნენ, ის კი, მხოლოდ სივრცეს შეჰყურებდა, მაგრამ თავს რომ მოატრიალებდა, მისი თვალები ყოველი მათგანის შუბლს, თხემს, გონებას, სჭვალავდა.

პურის მწიფე თავთავებს თვალს არ აცილებდა ერთ-ერთი მინდობილი, სახელად ლევი, რომელსაც შიოდა, ისე, როგორც მის თანამოძმეებს, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. რწმენის გაქრობას უფრთხოდა. წუხელ ხომ დაანაყრა ის და მისი თანამოძმენი, ვინც უკან მისდევდა. – „კბილები აღარ მაქვს, ან ენა მომწყდა დარტყმისაგან," – ფიქრობდა ლევი, რომელიც გრძნობდა, რომ სხეულისაგან გასათავისუფლებლად ამზადებდნენ და ფორიაქობდა.

– „გკლავენ, იღონე რამე, თორემ, ..." – ეჩურჩულებოდა თავისივე სული ლევის, რომელიც უღონოდ ეგდო და თვალებიდან გადმოსული ცრემლით წითელ მიწას ალბობდა.

– „ვერაფერს ვიღონებ, აღარ მინდა ასეთი ცხოვრება." – პასუხობდა გონება სულს და სულ უფრო და უფრო ემორჩილებოდა მოძალადე ისაკოსა და კალეს.

– „თავი დაიცავი, ადამიანო," – კვლავ ცდილობდა ლევის გამხნევებას მოფარფატე სული.

– წინ უძირო უფსკრულია! გადავაპირქვაოთ ეს ნეხვი და მორჩა! – ჩაილაპარაკა ამ დროს კალემ, მაგრამ, უეცრად, ლევის ხელი შეუშვა.

– რა მოგივიდა? – ისაკო კალეს მიაჩერდა. აისვეტა, ლევიმ ისაკო იცნო, მაგრამ, რას იფიქრებდა. წყალს ისე დაეწაფა, თითქოს უფროს მებაჟეს ვერ ხედავსო და სწორედ აქ შეცდა, – გამაყრუებელმა დარტყმამ იგი ჯერ კედელზე მიანარცხა, ხოლო განმეორებითმა წიხლმა წყაროს სპილენძის ტუჩზე მიარტყმევინა თავი, ლევი ფეხზე წამოჭრას ლამობდა, რომ ისაკო და მისი მეგობარი კალე, მას აქეთ-იქიდან დასწვდნენ და ხრამისაკენ წაათრიეს.

– „მკლავენ," – გაუელვა თავში ლევის და დაყვირება დააპირა, მაგრამ პირიდან, სისხლის დუჟი და ზუზუნის მსგავსი ხმა ამოუვიდა. – „კბილები აღარ მაქვს, ან ენა მომწყდა დარტყმისაგან," – ფიქრობდა ლევი, რომელიც გრძნობდა, რომ სხეულისაგან გასათავისუფლებლად ამზადებდნენ და ფორიაქობდა.

– „გკლავენ, იღონე რამე, თორემ, ..." – ეჩურჩულებოდა თავისივე სული ლევის, რომელიც უღონოდ ეგდო და თვალებიდან გადმოსული ცრემლით წითელ მიწას ალბობდა.

– „ვერაფერს ვიღონებ, აღარ მინდა ასეთი ცხოვრება." – პასუხობდა გონება სულს და სულ უფრო და უფრო ემორჩილებოდა მოძალადე ისაკოსა და კალეს.

– „თავი დაიცავი, ადამიანო," – კვლავ ცდილობდა ლევის გამხნევებას მოფარფატე სული.

– წინ უძირო უფსკრულია! გადავაპირქვაოთ ეს ნეხვი და მორჩა! – ჩაილაპარაკა ამ დროს კალემ, მაგრამ, უეცრად, ლევის ხელი შეუშვა.

– რა მოგივიდა? – ისაკო კალეს მიაჩერდა. – ერთი წამი მაცალე, ქამარი გამეხსნა – დარცხვენით თქვა კალე და ჩაგდებული ტოგის გასწორებას ცდილობდა.

ამ დროს წამოვარდა ლევი ფეხზე. როგორც ჩანს, სულმა მას ახალი ძალა შემატა. ისაკოს ხელში კი ლევის საყელო შერჩა.

– სად გაიქცევი, ნეხვო? – გაიცინა ისაკომ და ლევის წვდა, მაგრამ ლევი მოტრიალდა და მოახერხა მოძალადეებს გასცლოდა. მაგრამ უეცრად გაშეშდა, კისერი წაიგრძელა და წითელი უდაბნოს დასალიერს გახედა.

– მაშიახი! – ჩაილაპარაკა ლევიმ.

– რას ბოდავს? – კალემ კაბაზე სარტყელი შემოიკრა და ახლა ლევის დასაჭერად გამოიწია.

– მესია მოდის! – ატირდა ლევი და ბანცალ-ბანცალით წინ წაიწია, საითაც უდაბნოდან მისკენ მომავალი კაცი გამოჩნდა.

– გეჩვენება, ნეხვო, ჩვენს ხელში ხარ! – ისაკო ღრიალით მიჰყვებოდა ფორთხვა-ფორთხვით მიმავალ ლევის და ეჭვით გაჰყურებდა უდაბნოს, ვიღაც კაცი რომ მართლა გამოჩნდა.

– ფეხით მოდის, ახოვანი კაცია, მახვილი ჰკიდია! – წამოიძახა კალემ.

– არა, არა, – ხმა აუკანკალდა ისაკოს.

– მაშიახი მოდის, – კვლავ წამოიძახა ლევიმ.

– რა მაშიახი, რომაელი ასისთავის სიარული აქვს და თუ ასეა, მაშინ სიკვდილით დაგვსჯის, – შიშმა აეტანა კალე.

ისაკოს ძალიან უნდოდა კალესათვის სახეში გაერტყა, „აზრზე თუ ხარო!" –ეთქვა, მაგრამ მასაც მოეჩვენა, რომ კაცი ზორბა ტანის, რომაელი ლეგიონერი იყო და შიშისაგან გაფითრდა. მებაჟეზე თავდასხმა უკვალოდ არ ჩაივლიდა. თანაც, თუ ეს „ნეხვი" კიდევ რაღაცეებს მათზე მოყვებოდა, შესაძლოა ისაკოც მოეკვდინათ.

– ვაჰმე, – თავში ხელი შემოირტყა ისაკომ და სადღაც გაუჩინარდა.

კალეც თან გაჰყვა, ლევიმ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა იმ კაცისკენ, რომელიც ნელ-ნელა უახლოვდებოდა.

– რა მოგივიდა, ლევ? ნუთუ დაგჯაბნეს წყეულმა მებაჟეებმა? – უთხრა მასთან მოსულმა, მოგზაურის ლაბადაში გამოწყობილმა წვეროსანმა, რომლის უჩვეულო ნათელი სახე უმალ გამოარჩევდა მას, სამარიასა და იუდეის მკვიდრთაგან.

– მეც ხომ მებაჟე ვარ, მესიავ! – იმედიანად შეხედა ლევიმ.

– შენ არ ხარ მებაჟე, შენ დაკარგული კრავი ხარ, ჩემო ლევი! – ახარხარდა ახლადმოსული.

– მაშიახ, შენ ხარ? – ტირილი წასკდა ლევის და გახარებული გადაეხვია თავის მაშიახს. – ადამიანთა უმრავლესობა მიილტვის მხსნელისაკენ. თუ მხსნელს ელი, მაშინ, დიდი ალბათობით, ის მოვა, მაგრამ მანამდე ათასი ცრუ მხსნელის ხელში მოგიწევს გავლა. თუმცა ძიება არ უნდა შეწყვიტო. ლევის გაახსენდა, რომ ცხოვრებაში მას მუდამ ატყუებდნენ. ოჯახშიც კი, ძმებს და დებს ლევისთვის საგანგებო ადგილი ჰქონდათ მიჩენილი: „ლევი, მამას მიხედე! ლევი, დედას მოემსახურე! ლევი, საქონელს აჭამე! ლევი, მომეხმარე! ლევი, აიღე და გადადგი! ლევი... ლევი... ლევი..." და ლევიც მზად იყო უსიტყვოდ დამორჩილებოდა. დღის ბოლოს მას ერთგული ძაღლის ძილით ეძინა. კანონი უყვარდა. ამიტომაც მიაშურა „მასტერო პუბლიკანო-ს", რომ თვლა უყვარდა. საბაჟო სკოლის გავლის შემდეგ, იგი მოწესრიგებული, კანონზე დაფუძნებულ სისტემის რგოლად აპირებდა გადაქცევას, მაგრამ, ამაოდ! სამარიისა და იუდეის მასტერო პუბლიკანოები კანონის ძალით შეიარაღებული ტურა-მგლები აღმოჩნდნენ.

ლევი მიწაზე იჯდა! მან მაშიახს თავგადახდილი ისტორია უამბო და ახლა მისგან ელოდა პასუხს..

– „გამომყევი!" – ღიმილით ანიშნა მესიამ.

– „ვისთან ვუჩივლო თავგასულ ისაკოს?" – საწყლად მიაჩერდა მიშიახს, რომელმაც ჩაიცინა და თქვა:

– ილოცე, შენი მტრისათვის, ჩემო ლევ!

– ბოლო ნადიმი უნდა გავმართო და წამოგყვები! – მაშიახის დახმარებით ძლივს წამოდგა ფეხზე ლევი.

ლევმა მეზვერეთა ნადიმი გამართა. მხოლოდ ისაკო და კალე არ დაუპატიჟია. ტაბლის გარშემო მისი ძმებიც იჯდნენ. ლევმა მათ თავისი განზრახვა გაანდო და ყველას გააცნო მისი ახალი მეგობრები. მესია ჩუმად იჯდა. ლევის ძმები ერთმანეთს მდუმარედ გადახედავდნენ ხოლმე. სახეზე განსაკუთრებული არაფერი ეტყობოდათ. ღვინო ჩამოასხეს. ქოშერის სითხე ლევიმაც შესვა და დამშვიდდა. შემდეგ სხვებიც დასწვდნენ სასმისებს და მათაც სახეზე ბედნიერება გამოეხატათ.

ღვინო დაილია, მესია გამხიარულდა, ლევის კოლეგებს მეგობრული ღიმილით უსმენდა. მწიგნობარნი იმ სუფრაზე არ იჯდნენ, უბრალოდ, მათაც თავიანთი მსტოვარი ყავდათ შეთანაცვლებული. ეს ბოლო ლევის ოჯახში. მესია მსტოვარს ხშირად გახედავდა და მის გასაგონად საუბრობდა. როცა მსტოვარი წამოდგა, მესიამ თავისთვის ჩაილაპარაკა: „ახალი ღვინო ახალ ტიკებში უნდა ჩაისხას". ამ სიტყვების ძალა ლევმა უმალ იგრძნო, გული აუძგერდა და მესიას ჩუმად მიუახლოვდა, რომ მისთვის მხარზე ეკოცნა. ამ დროს მესიამ თქვა: – „განა შეიძლება აიძულო მექორწილეები, იმარხულონ, როცა ნეფე მათთან არის?", ამ აზრის მნიშვნელობა თითქმის ვერავინ გაიგო. დარბაზში თავისუფლების სული ტრიალებდა. არავინ იყო მიჩვეული მსგავს თავისუფლებას.

დილაუთენია წამოიშალნენ და გზას გაუყვნენ. მზის სხივებმა თვალები რომ აუკაშკაშეს, უკვე გვარიანი მანძილი ჰქონდათ გავლილი და დაღლილობაც მაშინ იგრძნეს. შვიდი თუ რვანი იყვნენ. ყველას სახეს ყოფილი მეზვერე არ იცნობდა. ჯერ დამეგობრებულებიც არ იყვნენ და ამიტომაც ისინი თავისსავე საფიქრალს მისცემოდნენ. მესია მათ წინ მიუძღოდა. არაფერი იცოდნენ მისი წარსულის შესახებ და კითხვების დასმას ვერც კი ბედავდნენ, ამიტომ უფრო საკუთარ თავს ესაუბრებოდნენ:

„წუხელ მაძღარს მეძინა, თევზის სიმრავლით ბადეები რომ კინაღამ გაწყდა, ამან გამაბრიყვა, დღეს კი არაფერი სასწაული არ მიჩვენა მაშიახმა, მშიერი მივყვები, მშიერი, აღარც მეზვერე ვარ და აღარც არაფერი! ..." – გაუელვა ლევის მსგავსმა ფიქრებმა, თავს გააქნევდა და ყველას ეგონა, დასეულ ბუზებს ებრძვისო, ხარ! – უთხრა ისაკომ, რომელიც ბაჟად მიღებულ ციკანს ეფერებოდა, რომელიც კიკინებდა და ისაკოს ართობდა.

– რთულია! – კუშტად ჩაილაპარაკა ლევიმ და ხალხს გახედა.

– ამათ ყველა სძულთ, მარტო შენ კი არა, ერთმანეთიც არ უყვართ, ამიტომ დავმარცხდით თითქმის ყველა ომში, ლევი! – უთხრა ისაკომ.

– გაჩუმდი! – ლევიმ ისაკოს პირზე ხელი ააფარა.

– გინდა გაჩუმდი და გინდა იყვირე. იცი, რომაელებს ერთმანეთი როგორ უყვართ, ელინური სიბრძნის ხალხია, რომ უყვართ და თანაუგრძნობენ ერთმანეთს, ამიტომაც იმარჯვებენ ყველა სხვა ხალხებზე, ჩვენ კი, ვინ ვართ, გათითოკაცებული, არეულ-დარეული ხალხი, ერთი ლეგენდა დაგვრჩენია და ისღა თუ გვასულდგმულებს, თორემ, სხვა რაზეა საუბარი...

– მესია მოვა, მალე, ცოტა მოითმინე, ისაკო, – ჩაიჩურჩულა ლევიმ და აყაყანებულ ხალხს გახედა.

– შემდეგი შემოვიდეს! აი შენ, წითელნაწნავიანო, შემოჰყავი თავი, სასწრაფოდ, თორემ რიგის უკან გაგიშვებ და დღეს არც მიგიღებ! – უღრიალა ისაკომ ერთ დაბნეულ ქალს, რომელსაც ხელში ორი კალათა ეჭირა, ხოლო მკერდზე, ნასკვით, მიმაგრებული ბავშვი ჰყავდა.

წითელნაწნავიანი ცახცახით მივიდა საბაჟო კოშკთან, – „კვერცხი მიმაქვს, გასაყიდად, რაბი", – ჩაიჩურჩულა და ისაკოს დაბლიდან ახედა.

– შენ ერთი აქეთ შემოდი, წითელნაწნავიანო, აქეთ, მეორე კარში შემოდი! – თქვა ისაკომ და კოშკის გვერდითა კარი გაუღო ქალს, რომელიც ყოყმანობდა და ხან ისაკოს უყურებდა და, ხანაც, ლევის ათვალიერებდა.

– შენ რა? არ გაქვს უფლება, დაატოვებინო ერთი კვერცხი და გაუშვა? – თქვა უცებ ლევიმ და ისაკოს გახედა. თვალთმაქცი ისაკო ქალს სხვანაირად შეჰყურებდა, მაგრამ ლევის ხმის გაგონებაზე გაშრა და უდიერად მიუგო ქალს:

– ოთხი კვერცხი დატოვე.

– რატომ ოთხი? – იკითხა წითელნაწნავიანმა მუცელში გაპარული ხმით.

– იმიტომ, რომ სამარიელი ხარ! უცხო ხარ! – დაიჟინა ისაკომ.

– ოთხი არა, ისა, ერთი კვერცხიც სრულიად საკმარისია. – აი, დაო, მე ამოვიღებ შენი კალათიდან ერთ კვერცხს და გაიარე სწრაფად – ეშმაკურად იქცეოდა ლევი, რომ წითელ ნაწნავიანისათვის კალათიდან ყველაზე პატარა კვერცხი ამოეცალა და უფროსი პუბლიკანოს, ისაკოს წინ განთავსებულ დახლზე მოეთავსებინა.

– „შენ ნუ ერევი, ძაღლო!" – ამას ეუბნებოდნენ ისაკოს ჩასისხლიანებული თვალები ლევის, რომელიც ქალის მადლობებს ყურს არ უგდებდა და წითელნაწნავიანს – გზა განაგრძეო მიუთითებდა.

– ეს წითელნაწნავიანი საფრთხობელა კი წაფართხალდა, მაგრამ შენ რა გელის, არც კი იცი! – წაუსისინა ისაკომ ლევის, როდესაც მისი მორიგეობის დრო დამთავრდა და საბაჟოს იმ დღის მონაგებით ტოვებდა.

– რა გინდა, ძმაო? – გაკვირვებული სახით შეჰყურებდა მაღალსა და წარმოსადეგ ისაკო პუბლიკანოს გაოცებული ლევი.

– მაგას მალე გაიგებ! შენი ძმა ვინაა, შე აყროლებულო? - ჩაიხითხითა უფროსმა მებაჟემ და კოშკი დატოვა.

საღამოხანს, წყალს რომ სვამდა, საბაჟო კოშკის წყაროზე, მაშინ იგრძნო, რომ ვიღაც უახლოვდებოდა. როდესაც ჩრდილი მის წინ

მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური

ნინო სერგოს ასული ღოღობერიძე დაიბადა 1918 წელს. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე 1935-1940 წლებში. 1947-1949 წლებში მუშაობდა ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის მოვალეობის შემსრულებლად. 1947-1953 წლებში, მეუღლესთან – გიორგი ლომთათიძესთან ერთად, მუშაობდა აკად. ექვთიმე თაყაიშვილთან, მისი არქივის მოწესრიგებაზე. 1958 წლიდან – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლია.

ნინო ღოღობერიძე მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, მათ შორის, 1960 წელს – მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციაში, სადაც მან შეკრიბა როგორც ზეპირსიტყვიერი, ისე ნივთიერი მასალები ხალხურ საბავშვო გართობათამაშებისა და სათამაშოების შესახებ.

1994 წელს ნინო ღოღობერიძემ აღნიშნული საარქივო მასალა, გიორგი და ალექსანდრე ლომთათიძეების არქივებთან ერთად გადასცა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს (ამჟამად ეროვნული ცენტრი - შემოსულობათა წიგნი N665).

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია დაინტერესებულ მკითხველს სთავაზობს ექსპედიციის მასალებს, რომელიც მოგვაწოდა ამავე ცენტრის თანამშრომელმა ესმა მანიამ, რისთვისაც ვუხდით მადლობას.

1960 წლის 22 აგვისტოს ამოვედით ახალციხეში. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ:

ნიკოლოზ რეხვიაშვილი (ხელმძღვანელი), თეიმურაზ ჩიქოვანი (მოადგილე), კოტე ჩოლოყაშვილი, იოსებ ნანობაშვილი, ჯეირან გაბიევი, გივი რეხვიაშვილი, ალფრედ ეპიტაშვილი (არქიტექტორი), ბიჭიკო კვირკველია, ნინო ღოღობერიძე.

22 აგვისტო

ახალციხეში დაგვხვდა გოგი და წამიყვანა ახალქალაქში, სადაც სწარმოებდა არქეოლოგიური გათხრები. გავჩერდით ვანო კოპტონაშვილის სახლში.

23 აგვისტო

მე, გოგი, ლეო რჩეულიშვილი, წავედით ექსკურსიაზე. პირველი სოფელი, სადაც შევჩერდით, არის არაგვა. აქ სომხური მოსახლეობაა. ეკლესიის ნანგრევების ადგილას შემორჩენილია ნიში, რომლის კედელში ჩატანებულია ჩუქურთმიანი ქვა. იქვე შენირულია სახელური. ნანგრევების წინ ვერძია (ქვისა). სოფელი ძველია. პირდაპირ არის სოფელი ორძუა. აქედან წყალი იმ სოფელში ჩადის და უერთდება თავფარავნის მდინარეს ახალციხის გზაზე. ამ ორ სოფელში მხოლოდ სომხური დასახლებაა. ძირითადად მისდევენ მემინდვრეობას (ქერი, ხორბალი, საქონლის საკვები ბალახეულობა). ამჟამად მისდევენ მებოსტნეობასაც. არაგვას რომ გამოვცდით, მოვედით სოფ. ბუღაშენში. გვერდით არის სოფ. ბალხო.

ბარალეთის მიმართულებით ხიდისჯვარია, სადაც ეკლესია დანგრეულია, მეორე ეკლესიის ნანგრევები კი არსებობს სოფ. მერენიას მიმართულებით. ფერდობზე არის თხილის ტყე, რომელსაც სათხილეს ეძახიან (მეტი წილი თხილნარია).

შემდეგ მივედით სოფ. ღრტილაში. სოფელში არის ძველი ეკლესია. გარშემო დაუყვება საკმაოდ კარგად შენახული გალავანი (ციკლოპური წესით ნაგები), რომელიც სხვაგან არსად შემხვედრია. შიგ ეკლესიაში იყო საფლავის ქვები, რომლებზედაც ამოკვეთილია: გუთანი მარჯვნივ, შუაში ჯვარი, აქეთ-იქით კი ხანჯალი და ცული.

შემდეგ გამოვიარეთ სოფლები აგანა, კაჭიო, სილგვა. კაჭიოშიც

ძველი ეკლესიაა. ეკლესიის კარებთან მტრედის თავებია შეწირული. საფლავის ქვებად გამოყენებულია ცხენის, ვერძის ქანდაკებები. შემდეგ არის სოფ. ალა-თუმანი. ყველა სოფელს ერთნაირი იერი აქვს, მიწური სახლები და ერთსართულიანი ქვის შენობები. საწვავად იყენებენ საქონლის ნაკელს, რომელსაც გარკვეულ ფორმას აძლევენ და მზეზე ახმობენ. აქა-იქ მოჩანს თივის ზვინები და კარტოფილის ნათესები.

სოფლებს მოჰყვება სოფლები: სოფ. ჭიხარული და ბალანთა. ესენი ეკუთვნიან ბორჯომის რაიონს. აი გამოჩნდა ტაბაწყურის ტბა, რომლის ნაპირას მდებარე სოფელს ტაბაწყური ჰქვია. ბალანთის შემდეგ არის სოფ. მოლითი. ყველა ეს სოფელი ეკუთვნის ბორჯომის რაიონს. ამ სოფელს ძველად „წითელ საყდარს“ ეძახდნენ. მოლითი და ეს სოფელი დიდი ხანია რაც ბორჯომს ეკუთვნის.

გზაში გავჩერდით „ამაღლებასთან“. ეს არის ქვის მაღალი სვეტი, რომელიც მთავრდება ქვის ჯვრით. ირგვლივ შემოვლებული აქვს ქვის გალავანი. მთლიანად ქვა 6 მეტრია. ამ ადგილას იკრიბებიან აღდგომის მეორმოცე დღეს. ახლოს პატარა ეკლესიაა, რომელსაც სირგვა ჰქვია. ეტყობა აქ ნასოფლარი იყო და ეკლესიაღაა შემორჩენილი.

ახალქალაქი

(ივანე არჩილის ძე კოპტონაშვილი – 62 წლის)

დაბადებული ვარ სოფელ კოთელიაში. ჩვენი სოფელი ჩამოსულია სოფ. მურჯიდან, რომლის გაყოლიებით არის ნასოფლარი ვარდისუბანი. ეხლა სოფელ ვარევნის კუთვნილებაშია. აქ ნაწილი ქართველები ცხოვრობენ, ნაწილი კათოლიკეები. სოფ. მურჯიდან მურჯიკნელები არიან. დედაჩემიც ზედგინიძის ქალია სოფ. ჩუნჩხიდან. კოთელიაში ნაცხოვრები ვარ 42 წელიწადი. კოთელიაში როცა დავიბადე, 8 კომლი იყო სომეხი, დანარჩენი სულ ქართველები იყვნენ. ახლა კი სულ ქართველები არიან. ბაკურიანის გზის მიმართულებით არის სოფელი ბურნაშეთი. უწინ აქ ქართველები ცხოვრობდნენ, ახლა სომხები ცხოვრობენ. ბარალეთში ნახევარი ქართველია, ნახევარი სომეხი. აქაური სომხები არიან მხოლოდ ადგილობრივები, დანარჩენები კი არზრუმიდან მოსული სომხებია. ძველი ქართული სოფლებია: ჩუნჩხა, აფნია, გოგაშენი, პტენა. 1945 წელს სოფ. ქილდა გაუქმდა. აქ უწინ ცხოვრობდნენ ქართველები და რვა კომლი თათარი. აქაური ქართველები გადმოიყვანეს თათრების სოფელ ოკამში. სოფელი პტენიდან 20 კომლი ქართველი გადაიყვანეს ნათათრებ სოფელ აზმანაში.

კოთელიაში კოპტონაშვილების გარდა იყვნენ: ბერუაშვილები, ბერიძეები, ანანიაშვილები, აბულაძეები, ხუციშვილები, ფანჯიკიძეები, ყავრელიშვილები, ზედგინიძეები, ზარიძეები. ჩვენ სოფელში იყვნენ თათრები – 2-3 კომლი, ორი ძმა წავიდა თურქეთში – წყაროს თავში (ქართული სოფელია), ორი ძმა კი დარჩა ჩვენ სოფელში, შეირთეს ქართველი ქალები, გაქართველდნენ და აბულაძეებად დაიწერნენ. ჩვენი გვარისანი გადავიდნენ ასპინძის რაიონში და ბადალოვებად, ბადილ-ოღლებად ინოდებოდნენ. კოპტონაშვილები ბარალეთშია 2-3 კომლი, ზოგი გურიაში გადასახლდა. ქართველებში აივაზიშვილები არიან. აივაზი თათრის სახელია, ჩვენ სოფელში იყო ეკლესია (დღეობები იმართებოდა კვირაცხოვლობას). ჩვენ სოფელთან ახლოს, 200 მეტრის დაშორებით, გორგოთია და იმართებოდა დღეობები (კვირაცხოვლობა). ხანდოში იმართებოდა წმ. გიორგობა. ყველა სომეხი, ქართველი იქ იყრის თავსა. ხანდოს ეკლესიასთან ახლოს, 2-3 კილომეტრში, არის ნასოფლარი ვარდისუბანი. ძალიან კარგი მიწებია. როგორც გიშერი, ისეთია. ეს არის გაღმით, ახლა გამოღმით ახალქალაქის მხარეს, პტენა და დილისკარის (ახლა ესენი დილისკას ეძახიან) შუა არის ნასოფლარი მურჯიკანი. ახლაც მურჯიკანი ჰქვია. გაღმით არის

მურჯი, აქეთ მურჯიკანო, ზევით იყო ვარდისციხე, იქ ვარდისუბანი.

ძირითადი საქმიანობა იყო მესაქონლეობა და მემინდვრეობა, მეცხოველეობა (წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი). სალოცავად დადიოდნენ სოფ. ხუმრისში და ეხვეწებოდნენ – საქონლის გასამრავლებლად ოჯახის კარგად ყოფნას.

გვალვაზე იცოდნენ ხოლმე ელიაობა. ქალწული ქალიშვილები მიდიოდნენ გუნდივით. მივიდოდნენ ხოლმე, ყველა ოჯახს ჩამოივლიდნენ და იძახდნენ: „ღმერთო, აღარ გვინდა გორახი, ახლა მოგვეც ტალახიო“. დიასახლისები შეასხამდნენ ხოლმე წყალს: ღმერთო, წვიმა მოვიდესო და გამოუტანდნენ ზოგი კვერცხს, ზოგი ფულს. ამ თანხას შეაქუჩებდნენ, ნაწილით იყიდიდნენ სანთელს, ნაწილით ბატკანს და დაკლავდნენ.

ბერიკაობა იცოდნენ დიდ მარხვაში, აღდგომის წინ. შეიმოსებოდა რომელიც უფროსი კაცი იყო, იმას ყადს ეძახდნენ. გადააბრუნავდნენ ტყავს, უცნაურ რაღაცეებს ჩაიცვამდნენ, გაუკეთებდნენ ღიპს, რაღაცა გამოიყვანდნენ იმასა და იმას მხლებლები ყავდა ხმლებით, თავიანთი მწერალი ყავდა – აღრიცხვას აწარმოებდა, დადიოდნენ ყველას კარებზე, ვინ რას გადაუხდიდა, რას მისცემდა, ხორბალს ან ქერს, ან ფულს, ყველა ოჯახს დასწერავდნენ – ვინ რა გადაიხადა. 15-20-30 წლიანი მამაკაცები იქნებოდა, ამას შეაქუჩებდნენ, ქერით გამოხდიდნენ არაყს, შეიძენდნენ საკლავს. ვინც კომიკი იყო უფრო, ან მხლებლებს, მეფის სტრაჟნიკებს ეძახდნენ. სომხებმა ბერიკაობა არ იციან. მაგ. ბარალეთს ძველი სომხებია და ისინიც იღებდნენ ბერიკაობაში მონაწილეობას. მთელი დღე გრძელდებოდა ბერიკაობა.

ბედის პურის გამოცხობა იცოდნენ ბედობისას, ეს იყო ახალ წლის მეორე დღეს. სახლის დიასახლისი გამოაცხობდა ბედის პურს და ჩადებდა შიგ ან ორშაურიანს, ან კაპიკიანს, ან ორკაპიკიანს. მერე დაანაწილამდა პურს. მაგ. 5 სულისას ხუთად დაანაწილებდნენ და იტყოდნენ – ეს ნაჭერი იმისია, ეს იმისია და ვისაც ფულიანი ნაჭერი შეხვდებოდა, იტყოდნენ, ეს ბედნიერიაო.

ტენილი ყველის გაკეთება იციან ზაფხულში ან შემოდგომაზე. ცხვრის ყველი (ახალი) დაინაჭრებოდა, ამას აქვს თავისი განსაზღვრული დრო, არც დამჟავდეს და არც დაუმჟავებელი იყოს. ცოტა ადუღებულ წყალში ჩაჭრიდნენ ორი-სამი დღის ყველს, დამჟავებული რომ არ იყოს (ამინდ გააჩნია, როგორ ადგილს ინახება სარდაფში). თუ მოსული არ იქნებოდა, არც გამოვიდოდა. რო გამოიხარშება, როგორც სულგუნის ხარშვა, ისეა და ამას ვეძახით გადაზელილ ტენილ ყველს, ისე, რომ ძაფისებური – თანაბარი უნდა იყოს. მაგასაც იტყვიან – გადაზელილი ჩეჩილიაო. გადაზელვის შემდეგ იმას ეტყვიან – ნაქაჩს. გადაიზილა ჩეჩილი, დარჩა და გამოვიდა ნაღები ნაქაჩი. ნაქაჩი შექუჩდება. დღეს ერთი გადაიზილა, ხვალ ორი და ასე. ეს ნაქაჩის ნაღები რო შექუჩდება, ჩეჩილი აწყვია უკვე შრატში, შეამარილებენ ისე, რომ არც მლაშე იყოს და არც უმარილო. შემდეგისთვის ქილაში ჩააწყობენ. ნაჭერი ყველის ნაწილი გადაზელილი ჩეჩილი უნდა იყოს, ნაწილი კი გადაუზელავი ნაჭერი ყველისა. შემდეგ მარილში შეზავდება ყველა ეს. ერთი რიგი ნაჭერი ჩაეწყობა (დათლილი ნაჭერი), მეორე რიგი გადაზელილი ჩეჩილი. ამოვლებული ეს ორივე იმ ნაქაჩ ნაღებში, დაიტენება თანაბრად. შემდეგისთვის ეს მაგრა დატენილი ქილა იდგება თავის ადგილას. მოაკრებენ ტილოთი პირს, ნაცარს ძირს დაყრიან, ქილას ზედ მოამხობენ, ეს იმიტომ, რომ ნაცარმა გამოსწოვოს შრატი. ეგრე იქნება 2-3 თვე, გარდა ყველიერებისა, არ შეიძლება იმისი ახსნა. ქადა-ნამცხვარი იციან ყველიერში და ქილა ერბო უთუოდ უნდა იყოს. ამოიღებენ იმ ყველს, ჩეჩილს დასჭრიან, ხელითაც დაიგლიჯება, მაგრამ დაჭრა უკეთესია. გარდა ქართველებისა, არ იციან ეს ყველი არც სომხებმა, არც თათრებმა. ვინც ღარიბი იყო, ერთიმეორეს გაუნაწილებენ ბედნიერ დღეებში. ერბოც იცოდნენ ამ დღისათვის.

ჯოჯაობა

კოჭაობა მეტი წილი ზამთარში იყო ყინულზე. დავსვამდით რიგში კოჭებს, რამდენსაც გაურიგდებოდით. ვიტყოდით – ხუთ-ხუთი დავსვათ, ათ-ათი... შემოვავლებდით წრეს, შუაში ჩავსვამდით. ყველას თავისთვის მოზრდილი კოჭი ვერძისა ქონდა, რო მძიმე და მაგარი ყოფილიყო და მეორე კოჭი გაეტანა. კოჭს სამ, ოთხ ადგილიდან დავხვრეტდით, ჩავასხამდით ტყვიას (დავადნობდით ტყვიას, ერთ ადგილში ჩავასხამდით და დახვრეტილებში ყველგან გავიდოდა, მერე ჩავდებდით მიწაში, რო მიწაში მალე გაცივდება, რაც მეტი ექნებოდა, დავითვლიდით და კოჭის მოყვანილობაზე დავაყენებდით, ერთ-ორ-სამ წუთს გავაჩერებდით, იმიტომ, რო დამდნარი ტყვია მიწაში მალე ცივდება. ეს სამარჯვე კოჭი, ყველას თავისთვის ქონდა. თუ ცაცია იყო, ცაცია მარცხენა კოჭს ადნობდა, მარჯვენა კი მარჯვენა კოჭს ხმარობდა. ამ კოჭს ერქვა ანაქა კოჭი. ამ ანაქათი ვესროდით იმ კოჭებს, რომელი რომელს გაიტანდა. წრის მოშორებით იყო ხაზი, საიდანაც ისროდნენ ამ ანაქასა. წრის გარეთ რომელსაც გაიტანდა, ის კოჭი იმისი იყო. კოჭაობა კიდევ გვქონდა. ორი კოჭი დაითლებოდა სუფთად, სწორედ. დათლილ კოჭებს ვეძახდით იმას. ქედები დაითლებოდნენ ზევითაც და ქვევითაც, წყვილად იქნებოდნენ კოჭები დათლილი, მარცხენა და მარჯვენა კოჭი წყვილად ერთად გადაიყრებოდა და ერთს ეძახდნენ თოხანს და მეორეს ჭუკს. თოხანი ის არის, რომელიც გათლილი და სწორედ არის, მეორე ჭუკი კი დაქანდაკებულია (ჩაღრმავებულია). წყვილად გადავყრიდით. თუ ჭუკზე დადგებოდა, მოგებული იყო, თუ თოხანზე – წაგებული.

ამის გარდა ვიცოდით სროლაც მაღლა: რა გინდა – თოხანი თუ ჭუკი? რასაც იტყოდა. თუ იტყოდა – თოხანი და თოხანზე დადგება, იმისი იყო კოჭი. ეს მორიგეობით არის.

ახალი წლიდან ვიწყებდით კაკლის თამაშს იგივე წესით, როგორც კოჭი. კაკალსაც ავარჩევდით მოზრდილსა და იმასაც ვეტყოდით ანაქა კაკალს. ანდა ამოვთხრიდით ორმოს, შორიდან კაკლებს გადავყრიდით. რაც ზევით ამოვარდებოდა, ის წაგებული იყო. აი ესეც მორიგებაზეა. კვერცხებს შევლებავდით წითელ პარასკევს. კვერცხს დაკვრით რომ ვთამაშობდით, მაშინ რომელი გავტეხამდით – „ქრისტე აღდგა“! – ვეტყოდით და დავარტყამდით, – არა შენ დაჯექ და არა მე, რომ დაჯდეს და მეორემ დაარტყას. კვერცხით თამაში დაგორებაც ვიცოდით. ბეგი იყო ისეთი, რო კვერცხი დაგორდეს (ან ფიცარ დავდებდით, რო დაგორება შეიძლებოდეს და დავაგორებდით კვერცხებს. ვთქვათ, მე დავაგორე, მერე კი შენ და მოხვდა ჩემ კვერცხს, მაშინ შენია, თუ არა და – არა. დაგორება რიგით ხდებოდა. კვერცხის ჩაკირვა ვიცოდით კიდევა. აღდგომის დღეს ვემზადებოდით მაგარი კვერცხის არჩევისთვის. კბილზედ ვსინჯავდით. მცოდნე ბევრი იყო კვერცხისა ახალგაზრდებში. ხელის გადასმით კვერცხის მრჩეველი მოხუცები იყვნენ. ზოგიერთ მოხუცებულთან მივდიოდით ახალგაზრდები და ვკითხავდით: „ვისი კვერცხი გასტეხს?“ ზოგიერთი მოხუცი ისეთი მცოდნე იყო, კბილზე უნახავათ ხელის გადასმით გებულობდნენ. კვერცხის ჩაკირვა ასეთნაირად ხდება: თიხის ერთ ჯამში მარილს ჩავყრიდით, რაც ჩატევა. 4-5 კვერცხი უნდა ჩავაწყოთ მარილში. კვერცხი წვერზედ მარილში უნდა იყოს დაყირავებული. ნახევრად იქნება დაფარული. ზევიდან დაეხურება მეორე თიხის ჯამი, შემოილესება ცომით, ნელ-თბილ თონეში ჩაიდგება, ამ ოთხი კვერცხიდან ზოგი გაძლებდა, ზოგი არა ღამის განმავლობაში, რომელიც რომ სა-

ღად დარჩებოდა, ჩაკირულს ვეტყოდით და სიმაგრე ჰქონდა, – ყველა კვერცხს გასტეხავდა. ერთმანეთს ვეუბნებოდით: „შენი არ იყო ჩაკირული კვერცხი, ბიჭო?“ – მერე შევლებავდით, მაგრამ კარგ ფერს ვერ იჭერდა.

იმ დღეს, როცა მინდორში თესლი უნდა გავიდეს, რო მოვიდესო მოსავალი უხვი და სქელი ყანა, აკეთებდნენ სქელ საჭმელს, წანდილს ვეტყოდით (ხორბლისას) და ხაშილს (ხორბლისაა ესეც, დაღერღილია, წანდილი კი ქერქგაცლილი, მთლიანი იხარშება). წყალში იხარშება და ერბოთი იჭმევა როგორც ქაშაში, გააკეთებენ შუაში ერბოსა. მერე, გასვლის დროსა, ურემზედა შებმულ ხარებს შუბლში კვერცხს დაარტყამენ, დალოცავენ: – „თქვენმა ქედმა, ჩვენს მარჯვენამ“, – ჩვენს ოჯახში დოვლათსა და მოსავალს დაულოცავენ ხარის ქედს. ადგილზეც რომ მოვა, დალოცავს ამ მარჯვენას, ხარის ქედს, ცის ნამს, დედამიწის უხვ მოსავალს, მერე დაიწყებს თესვას: „ღმერთო, შენ მიეც ბარაქა“! ჯავახეთში ზოგჯერ დართვილავდა და წაახდენდა, რა დროსაც ატყობდნენ, რო ამაღამ რთვილი იქნება, თივის გარშემო დაწვამდნენ ანდა ნამჯასა, რომ კომლი ასულიყო და ეს კომლი რთვილს არ უშვებდა. ასე ჰქონდათ მიღებული. გააბამდნენ კიდევ თოკს ყანის სიგანიდამ და ბერტყამდნენ ახლად დათრთვილული რო იყო, მანამ მზე ამოსულიყო, ნაადრევად ახლად დათრთვილულს. ორი კაცი გააბამდა თოკს. თუ ძალიან დიდი აპანი (თოკი) იყო, მაშინ მესამეც ჩადგებოდა შუაში.

ბავშვებმა (7-8 წლისა) იცოდნენ დამალვა „კეს, კეს, მალულა, ბიჭი სად დამალულა?“

შურდულის სროლა მაგარი იცოდნენ. ზოგიერთი შურდულით განთქმული იყო. მერე იტყოდნენ ჯირითი ცხენ და ცხენ. ერთიმეორეზე წავიდოდნენ და ჯოხს ესროდა მოპირდაპირეს, ვინ-ვის დაასწრებდა. ერთი წამოვიდოდა ერთი მხრიდან, მეორე მოპირდაპირედან და ერთმანეთს ესროდნენ ჯოხს პირდაპირ. საჯირითო ჯოხები ცალკე იყო. ზოგი აიცდენდა ჯოხს. კარგი მოჯირითე აიცდენდა. თუ მოხვდებოდა ჯოხი, ის უკვე დამარცხებული იყო. იცოდენ რომა, ინახავენ დღეობისთვის „კობალა ჯოხს“. იტყოდნენ – ჩხუბისათვის მოკლე იყო ისე, რომა, ჩერკესკის ქვეშ დაკიდული ჰქონდათ ქამარზე და შეიძლება მკლავშიაც შეენახათ ტაბიკის ხელი და მალავდა იმას მოჩხუბარი. ზედ ლურსმნებსაც კი უკეთებდნენ. ბევრიც მამკვდარა – მაგით სიკვდილიანობასაც ჰქონია ადგილი.

მესხეთში შემავალი სოფელია ტოლოში. მარტო იქ იყრიდნენ თავს თევდორობას. დროს ტარება, დაპატიჟება, სუფრის გაშლა, მარტო ეს იცოდნენ თევდორობას. ჭიდაობდნენ ოცი წლიდან ზევით. კოჭაობდნენ 7-8 წლიდან. კაკლაობდნენ უფრო პატარები. კვერცხაობას კი მოზრდილი ხალხიც თამაშობდა. ჯირითი ქორწილშიც იცოდნენ.

ბავშვები ალიფანობას იტყოდნენ. მოაგროვებდნენ კვერცხს, ნაზუქებს, ქადას და ერთად ჭამდნენ. წელიწადში ერთი დღეა ალიფანობის დღე. შეუთქვამდნენ, ღვთისმშობელი როა, ვარძიას, რო, შვილი მომირჩინეო და დააყენებდნენ სამღთოს.

გაგრძელება იქნება
(იბეჭდება უცვლელად)

ნატო ყრუაშვილი

მოგი რამ შალვა ვარდიძის

XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **შალვა ვარდიძე** – სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის ღირსეული აღზრდილი. ქართველი საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა. იგი იყო კათოლიკე მღვდელი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი, მთარგმნელი, კორესპონდენტი, პოეტი და ა.შ. წარმოშობით მესხეთის ძირძველი სოფლიდან – არლიდან. სამშობლოსათვის განწირული ადამიანი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში იღწვოდა უცხოეთის ცის ქვეშ და სამუდამო განსასვენებელიც უცხოეთში ჰპოვა. უნდა ითქვას, რომ ქართველი საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი შალვა ვარდიძის ცხოვრება და მოღვაწეობა. რამდენადაც დღემდე მის შესახებ ბევრი არაფერი დაწერილა. უფრო მეტიც, ქართველი საზოგადოება არ იცნობს მის სამეცნიერო ნაშრომებს, რადგან ვერ მოხერხდა მათი ქართულ ენაზე თარგმნა...

შალვა ვარდიძე, ექვსი ათეული წლის განმავლობაში, ძირითადად, სავანეში მოღვაწეობდა. ღვთისმსახურებასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა, – თანამშრომლობდა სტამბოლში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. იყოYყოველი ეროვნული საქმის წამომწყები და მონაწილე. მისი ხელმძღვანელობით 1911 წელს დაარსდა ქართული კლუბი, რომელსაც ექვსი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, სადაც გაერთიანებული იყო 150-მდე ქართველი, მათ შორის – ფაშები, მინისტრები, დეპუტატები, გენერლები, ოფიცრები, ვექილები, ექიმები, ვაჭრები, მოხუცები, სტუდენტები, – განურჩევლად სარწმუნეობისა. შეხვედრები იხსნებოდა და მთავრდებოდა ქართული სიმღერებით, საეკლესიო საგალობლებით. კლუბის წევრებმა წესდებაც კი შეიმუშავეს, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ უცვლელად დაუმტკიცა. ე.ი. კლუბმა გააერთიანა სტამბოლში მცხოვრები ქართველები და დაუკავშირა სავანეს. ამასთანავე, კლუბის შეხვედრებს ესწრებოდნენ საქართველოდან ჩასული მამულიშვილები. მათ შორის: ცნობილი ისტორიკოსები: **ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პავლე ინგოროყვა.** საზოგადო მოღვაწეები – **მიხეილ** და **ვლადიმერ წერეთლები, დავით ჩიქოვანი, ვახტანგ ღამბაშიძე, გიორგი მაჩაბელი, ლეო კერესელიძე** და სხვები. კლუბში შემუშავდა ოსმალეთის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროგრამა. ამ მამულიშვილური საქმის ორგანიზატორები იყვნენ: მამა **შალვა ვარდიძე, მემედ-ბეგ აბაშიძე, ისკანდერ-ეფენდი ცივაძე, დავით ჩიქოვანი** და სხვები. იქვე დაიბეჭდა სპეციალურად თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო.

საზოგადოების დაფუძნების ორგანიზატორები მხოლოდ წესდების შემუშავებითა და კრებების ჩატარებით არ დაკმაყოფილდნენ. რამდენადაც უმთავრეს მიზნად სოფლად განათლების გავრცელება დაისახეს, მათ დაიწყეს მოგზაურობა ქართველებით დასახლებულ სოფლებში. „სახალხო გაზეთის“ ერთ-ერთი კორესპოდენციით ვგებულობთ, რომ შალვა ვარდიძეს და დავით ჩიქოვანს ოთხი დღის განმავლობაში მოუვლიათ ისმითის მაზრის ქართული სოფლები და დაურიგებიათ დედა ენის სახელმძღვანელოები. მათი მოგზაურობის მიზანი იყო დასახლებული საზოგადოების დაარსების საკითხთან ქართველთა დამკიდებულების გარკვევა. დავით ჩიქოვანი წერდა: ***„გადავწყვიტეთ ხანმოკლედ გვემოგზაურა ზოგიერთ ქართულ სოფლებში, რათა ზერელე წარმოდგენა მაინც გვქონოდა მათზე.“***

აღსანიშნავია ისიც, რომ შალვა ვარდიძე, სავანეში მოღვაწეთა მსგავსად, მზრუნველობას არ აკლებდა იქ დაფუძნებულ ბიბლიოთეკას, რათა სასწავლებლის მოწაფეებს სრულფასოვანი განათლების მიღებაში პრობლემები არ შექმნოდათ. საქართველოში ჩამოსული ცდილობდა მოეძია საჭირო ლიტერატურა. **გურამ შარაძის** ცნობით, სტამბოლის სავანეში სხვა (ორმოცდაათზე მეტ, XVIII-XIX საუკუნის) მნიშვნელოვან ხელნაწერთან ერთად ინახება: საქრისტიანო მოძღვრება სოფელ არლიდან 1913 წელს მოტანილი ქალაქ სტამბოლში შალვა ვარდიძის მიერ.

XI. სტამბოლის ქართველთა სავანეში მოღვაწე სასულიერო პირები (სხედან მღვდლები: კონსტანტინე, პიო ბალიძე, პეტრე ტატალაშვილი, ბენედიქტე ვარდიძე, შალვა ვარდიძე), საქართველოდან დევნილ ეროვნული მთავრობის წევრებთან ერთად.

როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, შალვა ვარდიძე მზრუნველობას არ აკლებდა სამშობლოში მყოფ თანამემამულეებს. განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. იგი თანამშრომლობდა და მხარში ედგა მშობლიურ კუთხეში მოღვაწე კათოლიკე მღვდლებს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მისი ურთიერთობა **ალიოზ ბათმანაშვილთან.** იგი შალვა ვარდიძესთან ერთად იყო ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე 1918 წლის 9 აპრილს ახალციხეში შექმნილი „ქრისტიან ბავშვთა კავშირისა.“ იყო ამ კავშირის მეთვალყურე. კავშირის ერთ-ერთი მიზანი იყო გლახაკების დახმარება, რასაც ახერხებდა სოფლად – გლეხებისაგან სანოვაგის შეგროვებითა და მათთვის გადაცემით. ალიოზ ბათმანაშვილმა და შალვა ვარდიძემ შეადგინეს პროექტი, რომელიც განსახილველად გადაეცა კომიტეტს. პროექტში ყურადღება გამახვილებული იყო შემდეგ საკითხებზე: შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მრევლს სურსათი ექვსი თვის განმავლობაში უნდა შეეძინა ფასდაკლებით. კომიტეტის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო ერთი ექიმი, რომელიც მიხედავდა ავადმყოფებს და მოამარაგებდა წამლებით. უნდა შემდგარიყო უსახლკაროდ დარჩენილი ქართველი გლეხების სია, რომელთაც გადაეცემოდათ „ექვსი თვის საცხოვრისი სამეურნეო იარაღითურთ.“ ასევე უნდა მოქცეოდნენ იმ ქართველ მაჰმადიანებს, რომლებსაც არ დაუტოვებიათ თავიანთი სოფლები. კომიტეტს უნდა ეზრუნა გლეხების საკუთარ მიწაზე დაბრუნებაზე გადამწვარი სოფლების აშენების შემდეგ.

შალვა ვარდიძე საფუძვლიანად ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. სწორედ ამიტომ მის მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მთარგმნელობითმა საქმიანობამ. მის თარგმანებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა უცხოელ ავტორთა საქართველოს ისტორიაზე შექმნილმა ნაშრომებმა. მან იტალიელი დიპლომატისა და მწერლის **ევგენი დალეჯიო დალესიოს** მიერ 1920 წელს ფრანგულად დაწერილი ნაშრომი – „ქართველები კონსტანტინეპოლში“, ქართულად თარგმნა, რომელიც დაიბეჭდა მონასტრის სტამბაში 1921 წელს. თავის დროზე ფართო მკითხველმა საზოგადოებამ, როგორც ქართველებმა ისე უცხოელებმაც, სავანის ისტორია და იქ მყოფთა მოღვაწეობა პირველად გაიცნო სწორედ დასახელებული ნაშრომით.

აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნის შესავალში თვითონ ავტორი უდიდეს მადლიერებას გამოთქვამდა შალვა ვარდიძისადმი: ***„ამ წიგნის გამოცემის დროს, დიდი თანაგრძნობა და თანამშრომლობა აღმომიჩინა პ. შალვა ვარდიძემ, რომელმაც ჩემი ფრანგული ხელნაწერის თარგმნის დროს, შემატანინა სხვა და სხვა საყურადღებო ცნობები, სხვათა შორის ვეზირ-ხანის დასასრულზე, ფერი-კვეის სავანის მიზანზე და ისტორიულ მხარეზე, და სულ განსაკუთრებით მისგან ცნობილ მუსულმან ქართველების მდგომარეობაზე. ამ წიგნის პირველი თავის პირველი და მესამე ნაწილი თითქმის ერთიანათ მას უნდა მიეწეროს.“***

შალვა ვარდიძემ ფრანგულიდან ასევე თარგმნა და 1921 წელს სტამბოლის სავანის სტამბაში დაბეჭდა საზღვარგარეთ არსებულ კიდევ ერთ ქართულ სავანეზე, უცხოელი ავტორის **რენე ჟანენის** წიგნი „ქართველები იერუსალიმში“. შესავალში აღნიშნავს, რომ რენე ჟანინმა, ჯერ კიდევ 1912 წელს დაბეჭდა პირველი გამოკვლევა – „დასაბამი ქრისტიანობისა საქართველოში“. ***„დაინტერესებულმა ქართული ეკლესიის წარსულით, რ. ჟანენმა კარგა ხანს დაჰყო პალესტინაში, ადგილობრივ ინახულა ქართველების ყველა ძველი სავანეები, კრიტიკულად გამოიკვლია მათი ისტორია“.*** მამა შალვა იქვე აღნიშნავს, რომ რენე ჟანენმა კათოლიკურ ღვთისმეტყველების ენციკლოპედიურ ლექსიკონში საქართველოს შესახებ ვრცელი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური, რელიგიური და ლიტერატურული გამოკვლევა მოათავსა. ***„საქართველოს ცხოვრება უძველეს დროიდგან დღევანდლამდე დასაბუთებული აქვს არა მარტო ქართული წყაროებით, რომელიც ჩვენ დავუთარგმნეთ, არამედ უცხო ტომის ძველ და ახალ მემატიანეთა და მეცნიერთა საბუთებითაც.“***

უნდა ითქვას, რომ მამა შალვამ თავისი მთარგმნელობითი საქმიანობით მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული სამეცნიერო ლიტერატურა. ამასთანავე, ქართველ საზოგადოებას დაანახა უცხოელთა განსაკუთრებული ინტერესი და დამოკიდებულება საქართველოსადმი. „და თუ ეს წიგნი ***„ქართველები იერუსალიმში“ ვსთარგმნეთ და დღეს ქართველ საზოგადოებას ვაწვდით, სხვათა შორის, გვსურს უჩვენოთ ყველას, რამდენად აფასებს და პატივს სცემს უცხოელი ჩვენს წარსულ შემოქმედებას და დიდებას“,*** – წერდა შალვა ვარდიძე. მას კარგად ესმოდა, ქართველი ერისათვის თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო უცხოელ ავტორთა სამეცნიერო ნაშრომები, უცხოურ წყარო-მასალებზე დაწერილი, საქართველოს უტყუარი ისტორიის შესასწავლად. ამიტომაც იყო, რომ მან არ დაზოგა თავი და ქართველ საზოგადოებას მშობლიურ ენაზე მიაწოდა ზემოთ დასახელებული ავტორების შესანიშნავი ნაშრომები.

შალვა ვარდიძის მთარგმნელობით საქმიანობაში ასევე მოიაზრება მის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობაც. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს „ვეფხისყტაოსნის“ თავები, რომელსაც დაურთო კომენტარები. ეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამ პოემის ფრანგული თარგმანი არ არსებობდა. მან ფრანგულ ენაზე ასევე თარგმნა ქართული ლიტერატურული მიმოხილვები. მათ შორის **ვახტანგ ორბელიანის** შემოქმედება და მისი მიმოხილვა. მამა შალვამ სამშობლოს დიდი სამსახური გაუწია, კერძოდ, ევროპელებს გააცნო და აზიარა ქართულ პოეზიას.

მან შექმნა და შთამომავლობას დაუტოვა ლიტერატურული მემკვიდრეობა. უპირველესად, მხედველობაში გვაქვს მისი პატრიოტული ხასიათის ლექსები: „ჩემი ლოცვა“, „წმინდა ნინოს“. პროფესორი **შუშანა ფუტკარაძე** აღნიშნავს, რომ სავანის არქივში დაცული ხელნაწერებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სავანის მღვდელ-მონაზონთა მიერ შექმნილი საგალობლები მიძღვნილი მარიამ ღვთისმშობლისადმი. გამოარჩევს **სტეფანე გიორგიძის, ანდრია წინამძღვრიშვილის** და **შალვა ვარდიძის** საგალობლებს. ამასთანავე, შალვა ვარდიძემ გადაარჩინა და სავანის არქივში მიუჩინა ადგილი ქართული საგალობლის ერთ გამორჩეულ ნიმუშს. კერძოდ, მან სტამბოლში მცხოვრები **ანდრია გრილაძისაგან** გადაწერა შესანიშნავი საგალობელი, რომელიც, თავის დროზე, ახალციხეში ჩაიწერა **სპირიდონ ხმალაძისაგან.** ს.ხმალაძის გადმოცემით, ოსმალობის პერიოდში, როცა ქრისტიანული ლოცვა ეკრძალებოდათ, ამ საგალობლებს მღეროდნენ ქორწილებშიც, თავყრილობებზეც, გლოვისას. ***„ამ საგალობელს მესხი ქრისტიანიც და მუსულმანიც მხურვალე გულით ერთად ვგალობდით, ეს საგალობელი გვაერთიანებდაო. ის ჩვენი წინაპრებიდან მოდის და 200-250 წლისა მაინც იქნება“.***

შალვა ვარდიძის მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი მეცნიერული მოღვაწეობა და ისტორიული ხასიათის სამეცნიერო შრომები. სიცოცხლის ბოლო წლებში, თურქეთიდან გადასახლების შემდეგ – 1945 წლიდან 50-იანი წლების ბოლომდე, იგი მოღვაწეობდა ბეირუთის უნივერსიტეტში, სწორედ იქ, არაბულ ენაზე, გამოაქვეყნა თავისი ორი ნაშრომი: „საქართველოს მოკლე ისტორია“ და „დიდი საქართველოს პატრონი“ – ეს იყო დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი. ამდენად, შალვა ვარდიძემ, თავისი ნაშრომებით, არაბულ სამყაროს გააცნო საქართველო და მისი უძლიერესი მეფე დავით IV. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე როგორც შეუსწავლელია ღირსეული მამულიშვილის მოღვაწეობა, ისე მისი შრომებიც, არ არის თარგმნილი ქართულ ენაზე.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში 1918 წელს დაიბეჭდა სტამბოლის კონფერენციაზე წარსადგენი ცნობარი – „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“. მის მომზადებაში ცნობილ ისტორიკოსებთან: ივანე ჯავახიშვილთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, პავლე ინგოროყვასთან და მიხაკო წერეთელთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა სავანეში მოღვაწე შალვა ვარდიძემაც. იგი თანამშრომლობდა თავისი დროის ქართველ მეცნიერებთან. კარგად იცნობდა ქართველ კათოლიკეთა გულშემატკივარს პრო-

მოღვაწეობის შესახებ

ფესორ **ალექსანდრე ხახანაშვილს,** რომელიც რამდენჯერმე ესტუმრა სავანეს.

შალვა ვარდიძე ფლობდა ცხრა ენას და ცხრავე ენაზე უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში, საქართველოს შესახებ, აქვეყნებდა სტატიებს და უცხოელებს აცნობდა თავისი ქვეყნის ისტორიასა და კულტურას. მისი სტატიები სისტემატურად იბეჭდებოდა უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში. იყო ავტორი თხზულებებისა: „სტამბოლის მონასტერი და რაფიელ ინგილო“, რომელიც, თავდაპირველად, 1931 წელს დაიბეჭდა პარიზში, გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“. ჟურნალში – „ბედი ქართლისა“ დაიბეჭდა მისი სტატია: „ლიბანში აღმოჩენილი ქართული ხელნაწერის შესახებ.“ იმავე ჟურნალში 1955 წელს დაიბეჭდა მისი კიდევ ერთი წერილი „ხმა ლიბანის ობოლ კედართა მაღნარიდან“.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული ტიბიკონისათვის ქართველ კათოლიკეთა საუკუნოვანი ბრძოლა კიდევ უფრო გააქტიურდა. პროფესორ **შოთა ლომსაძის** თქმით, ქართველ კათოლიკეთა ჯგუფმა **(პ.ხარისჭირაშვილი, ი.ნებიერიძე, ივ. გვარამაძე, ი. ანტონოვი, მ. თამარაშვილი** და სხვ.) ქართულენოვანი კათოლიკური ტიბიკონის აღდგენა-დამკვიდრებისათვის ბრძოლას ახალი მიმართულება მისცა. იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადეს და შეეცადნენ ქვეყნის ხსნა ამ ნიადგაზე ევროპული ცივილიზაციისათვის დაეკავშირებინათ. სტამბოლის ქართველი კათოლიკეები, რომლებსაც აღნიშნული დროისათვის უკვე ჰქონდათ მოპოვებული ქართული ტიბიკონი, ცდილობდნენ ყოველგვარი დახმარება გაეწიათ საქართველოში მცხოვრები კათოლიკეებისათვის, რათა ქართულ ტიბიკონზე გადასულიყვნენ. 1913 წელს სტამბოლის ქართველ მამათა კათოლიკური სავანიდან სპეციალურად მშობლიურ მხარეს ეწვივნენ სავანის წინამძღვარი **პოი ბალაძე** (*ხიზაბავრელი*) და მონასტრის გამგე, მღვდელი **შალვა ვარდიძე** (*არლელი*). მათ ალიოზ ბათმანაშვილთან ერთად შემოიარეს ქართული სოფლები. საკითხისადმი განუმარტავდნენ მის მნიშვნელობასა და აუცილებლობას.

სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანე თავისი არსებობის განმავლობაში, თავისი მისიითა და მრავალმხრივი მოღვაწეობით წარმოადგენდა ერთგვარ პროტესტს მეფის ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. მან უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. შეიძლება ითქვას, რომ სავანე თვითონ იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი კერა. 1928 წელს გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: ***„ძალიან დიდია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა უმანკო ჩასახების სავანის წვლილი საქართველოს 1914-1917 წწ. 1920-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაში. სწორედ სავანის ტერიტორიაზე, მონასტრის სასტუმრო სახლში მოქმედებდა 1914 წელს ჟენევაში დაარსებული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. მისი მიზანი იყო გერმანიის პროტექტორატით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სავანის წინამძღვარი შალვა ვარდიძე....“***

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ თურქეთში ქართული ლეგიონი დააარსა. სამოქმედო ადგილად შეირჩა ტრაპიზონი. ლეგიონში ჩაირიცხნენ გამაჰმადიანებული ქართველები და ქართველი ტყვეები. შუშანა ფუტკარაძის თქმით, ***„ლეგიონში შედიოდნენ მუსლიმანი ქართველები აჭარიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან, ისტორიული ტაო-კლარჯეთიდან, ლაზეთიდან სინოპის ჩათვლით. იყვნენ მუჰაჯირებიც. ლეგიონის ცხოვრება, ოთხი წლის განმავლობაში, დეტალურად არის აღწერილი. გენერალი იყო ლეო კერესელიძე.... ლეგიონის წევრები არიან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირები,... საქართველოს განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ. ვინც ცოცხალი დარჩა და საქართველოში შემოაღწევა მოახერხა უმრავლესობა 1937 წელს დახვრიტეს ან გააციმბირეს...***“

1917 წელს შეიქმნა საშიშროება დამარცხებული რუსეთის სამხედრო ბრბოების საქართველოში შემოჭრისა. სტამბოლიდან იარაღითა და ტყვია-წამლით დატვირთული წყალქვეშა გემები სურგულაძისა და მამა შალვა ვარდიძის ხელმძღვანელობით საქართველოსაკენ გაეშურნენ, მაგრამ ოპერაცია ჩაიშალა.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისა და ქართული ლეგიონის წინაშე დამსახურებისათვის, სტამბოლის ქართული სავანიდან წინამძღვარს მამა პიო ბალიძესა და მონასტრის გამგეს მამა შალვა ვარდიძეს გადაეცათ 1915 წელს „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ დაწესებული, თამარ მეფის ორდენი. სტამბოლის სავანის არქივ-ფონდში ინახება ქართველი ლეგიონერების სრული სია და 1915-1921 წლებში მათი საქმიანობის ამსახველი მასალები. შალვა ვარდიძე დიდ დახმარებას უწევდა ქართულ ემიგრაციას სტამბოლში. 1921 წელს სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის სტამბაში დაიბეჭდა ემიგრანტული პოლიტიკური ჟურნალის „თავისუფალი საქართველოს“ – პირველი ნომერი. შალვა ვარდიძე თანამშრომლობდა 1924 წელს პარიზში დაფუძნებულ „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციასთან.

მამა შალვა ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, რომელიც თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის გამო, სტამბოლიდანაც გააძევა თურქეთის ხელისუფლებამ, – აეკრძალა სავანეში ყოფნა და სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა სამშობლოდანაც და სავანიდანაც შორს – ლიბანის მთის ქრისტიანულ მონასტერში. მეორე მსოფლიო ომის დროს, 1945 წელს, იგი შეიპყრეს და გადაასახლეს ბეირუთში. აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა სან-ჟოზეფის ფრანგულ უნივერსიტეტში, ლექციებს კითხულობდა, იყო უნივერსიტეტის პროფესორი. იქვე გამოსცა არაბულ ენაზე თავისი ორი ნაშრომი საქართველოს შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მან ის დრო ნაყოფიერად გამოიყენა და სტამბოლის სავანეში დაწყებული საქმიანობა ბეირუთში განაგრძო. მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ სტამბოლის სავანესთან თანამშრომლობა და თანამემამულეებთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია. სავანის არქივში მისადმი გაგზავნილი მრავალი წერილია დაცული. თანამემამულეები უკავშირდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან: თურქეთიდან, სირიიდან, საფრანგეთიდან, ამერიკიდან და ა.შ. მამა შალვა ვარდიძე, XX საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს, გადასახლებაში – ლიბანში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. გარდაცვალების ზუსტი წელი უცნობია. მისადმი გაგზავნილი წერილების დათარიღებით თუ ვიმსჯელებთ, იგი 1958 წელს ისევ ცოცხალი იყო.

შალვა ვარდიძე, ალიოზ ბათმანაშვილი და პეტრე ტატალაშვილი სტამბოლელ ქართველებთან

დალი ყარაულაშვილი

თუ არ გამოამინდდა...

საქართველოს წარსული, წმინდა სისხლით
ნაწერი,
დაფარულა ფურცლები ომის სუნთქვის
ნამქერით,
ჯვარი იყო ბრძოლებში, ხმალიც და
სატევარიც,
რწმენით მოვიგერიეთ ლუციფერის
მდევარი.
ერი ფარ-ხმალს ისხამდა გამარჯვების
იმედით,
ბევრჯერ ჯვარზე გაკრულნი ხრამის პირზე
მივედით,
მაგრამ მკვდრეთით აღვსდექით, თვით
ლაზარეს აღდგომით,
არვის ახსოვს ეს სისხლი, უმოძრაოდ
ნადგომი.
მოსჩქეფდა, მოშხუოდა, ძარღვში თერგად,
არაგვად,
კოლხ-იბერთა გმირობა დადიოდა
არაკად,
და საქმენი ღვთიური, საქართველოს
მეფეთა,
ზეცას მისწვდა, მიწაზე გადაიქცა
ლეგენდად!
გველ-წიწილი გვგესლავდა
შინაურ-გარეული,
საქართველოს ტკივილით მეფე
გადარეული,
მტერს სჩეხდა, დაფრინავდა, ფრთაგაშლილი
ულაყით
და ავბედად უთრთოდა, თეთრ სახეზე
ულვაში.
ტუჩთან სიმწრის ღიმილით სჩეხა მტერი
ორგული,
ეჰ! უცრემლო ტკვილით წარბს არ ხრიდა
ლომგული.
გოლგოთამდე ვატარეთ ჩვენი ჯვარცმის
უღელი,
ჭირში მღერის ქართველი, ქართულ ზეცას
უმღერის.
რა ურიცხვი ჯარია, ველზე არ სჩანს
ბალახი,
აქეთ ქრისტე ღმერთია! იქით დიდი ალაჰი!
ურჯულოთა კარვები, თავის
ჰარამხანებით,
აქეთ ვაჟებს მოძღვრავენ უშიშარი ქალები:
– „ხმალი ააელვარეთ! დაერიეთ ავსულებს,
თითოული თქვენგანი ზეციურ ვალს
ასრულებს!
გვირჩევნია ვიტიროთ შვილნი გმირთა
სახელით,
ვიდრე მათ ზურგს ხედავდეს ოსმალი თუ
სპარსელი.
საქართველოს! ძახილით დაიწყვიტეთ
იოგი,
იქით შაითანია! აქეთ წმინდა გიორგი!“
იქ დემონთა ლაშქარი, აქ ქრისტეს
მხედრიონი,
მეფე ჯარს მიუძღვება, სისხლით
ბაგრატიონი.
მტრის ჯარს სარდლობს ავსული,
ნეჯმ-ედ-დინი ილღაზი,
აქ ლაშქარი მბრდღვინავი, ცის ჯიშის და
ჯილაგის...
არვინ არის დამრღვევი ზეციური ფიცისა,
დგას ციური ლაშქარი ღვთიშობლის
წილ მიწისა.
მტერს ეკვეთა დავითი, აზანზარდა ცა-მიწა
და ველურთა ნახირი, სამარცხვინოდ
დამიწდა,
თურქ-სელჯუკთა თავებმა ველ-მინდვრებზე
იგორა,
მეფეთ-მეფე დავითმა ჯვრით და ხმლით
იდიდგორა!
დღეს რა ხდება ამ ცის ქვეშ?! არ გვყავს
ბრძოლის მოთავე?!
წინაპართა სისხლისა, ეჰ, თითებზე
მოვთვალე,
ბერს წყალი შეუყენეს, ვაი! აღარც ერია,
შვილნი მამებს განუდგნენ, სხვა ნოტებზე
მღერიან...
წინაპართა ყანაში ჯეჯილმა ვერ იხარა
და ზეციურ მიწაზე ეშმამ კენჭი იყარა.
გააჩაღა ყომარი, ვაი! კოლხეთ-ლაზეთი!
გამოგგვლიჯა მკერდიდან მზიური
აფხაზეთი.

ᲯᲝᲠᲯᲝᲚᲘ–ᲯᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲒᲖᲐᲛᲙᲕᲚᲔᲕᲘ

(გაგრძელება. დასაწყ. წინა ნომერში)

მონასტრის შიგნით, ადგილ-ადგილ, შემონახულია კედლის მხატვრობა, როგორც ძველი ხელოვნების ნიმუში. აქ გამოსახულია ქართველი მეფეები და წმინდანები. საკურთხევლის თავზე კი – ღვთისმშობლის სახეა გამოთლილი ქვისაგან, ხელზე მოუჩანს ნატყვიარის კვალი, რომელიც, გადმოცემით, თურქების ერთ-ერთი თავდასხმის დროს მომხდარა. მონასტერთან ცხოვრობს მღვდელ-ბერი და ღვთისმსახურებას აღავლენს ზაფხულობით. მლოცველები ხშირად სტუმრობენ.

სოფლის გაღმა, გუჯარულას მარცხება მხარეს, მაღალ დაკიდულ ბაზალტის კლდეში, გამოთლილია სამსართულიანი საცხოვრებელი. დღეს, რა თქმა უნდა, უკაცრიელია. მათზე შემორჩენილია ირმის რქები, რომელიც კიბის როლს ასრულებდა იმ მიუვალ საცხოვრებელში ასასვლელად. ეს კი იმას მოწმობს, თუ რა გზებს იყენებდნენ თავდაცვისათვის მისი ძველი ბინადრები.

აქვე, კლდეზე, მოჩანს მეფე თამარის დროინდელი ძველი ქართული ციხესიმაგრის ნანგრევები. წაღვერის სადგურიდან ცემამდე 4 ვერსია (3,351). აღმართი უფრო მეტია და უფრო დაკლაკნილი.

100 საჟენის გავლის შემდეგ ვტოვებთ გუჯარულას, მატარებელი 25 საჟენის მკვეთრი რადიუსით უხვევს მარჯვნივ, ისევ სადგურის გვერდზე გაივლის, სხვა მხრიდან, და უკვე 7 ½ საჟენით მაღლა, ახლახან გავლილი გზის პარალელურად და თქვენ სადგურს უკვე ზემოდან ხედავთ. აქედან კი გზის ყველაზე საინტერესო ნაწილი იწყება. ერთი ვერსის გავლის შემდეგ, უფრო მაღლა ავდივართ და კვლავ ვხედავთ სადგურს და სოფელ წაღვერს. უკან მოვიტოვეთ გუჯარულას ხეობა, არაჩვეულებრივი ფიჭვნარი. მოშორებით, ამაღლებულ პლატოზე, სოფელ მზეთამზის სათიბი მინდვრები მოჩანს. მარჯვნივ – ქედი და გვირგვინას მთის მწვერვალი (14,441 ფ.), მარცხნივ – კერჩხობის და ყურუსების ქედები, ქვემოთ – ღანდაგის გზა, საიდანაც ცოტა ხნის წინ გამოვედით. ორთქლმავალი ქშინავს, თითქოს ცოცხალი არსება იყოს, რათა ამოიყვანოს მატარებელი აღმართზე.

მე-14 ვერსზე მატარებელი უხვევს მარჯვნივ და გადადის მდ. ბაკურიანულას ხეობის ჩამოშლილ ნაპირთან და ჩვენს თვალწინ იშლება პერპენდიკულარულად განახლებული ცემის მთიანი ვიადუკი (ხიდი ხრამზე), ოღონდ რკინის, რომელიც გადაჭიმულია მთელ ბაკურიანის ხეობაზე, სიმაღლით 14 ½ და 36,70 საჟენი სიგრძით.

მკვეთრი მოსახვევის მარჯვნივ მატარებელი შედის ვიადუკის ზემოთ. ხრამის თავზე მოჩანს სოფელ ცემის სახლები. ხიდის გავლის შემდეგ, მატარებელი კვლავ სამ ზიგზაგს აკეთებს და, ბოლოს, გადის განიერ, უსასრულოდ ლამაზ ცემის პლატოზე, რომელიც სადგერის გაგრძელებას წარმოადგენს. თქვენ წინაშეა უამრავი სიმწვანე, ბაღები, სიმინდის ყანები, სოფლის იქით უზარმაზარი ტყის პირი მოჩანს. ქვემოთ წაღვერია. ამ სიმწვანეში და გუჯარეთის ხეობის ფრიალო კლდეებში, სარკინიგზო ხაზის ნაწყვეტები მოჩანს, რომელზეც უკვე დიდი ხანია გამოვიარეთ. თითქოს ამ ფრიალო კლდეებს არც ერთმანეთთან აქვთ რაიმე კავშირი და არც სარკინიგზო ხაზის ნაწილთან, რომელიც გამოვლილი გვაქვს.

ცემის ფართო პლატოდან, ჩრდილო-აღმოსავლეთით, თქვენ ხედავთ აჭარა-ახალციხის ქედის განშტოებებს.

ჩრდილოეთით დაბის ქედია, მწვერვალით თორთეზი (6,595 ფ), გვირგვინას აღმოსავლეთით (14,441 ფ.) სადგურს ზემოთ და ცოტა მარცხნივ, ხეებს შორის, ოდნავ ჩანს სადგურ ნიკოლაევის შენობა, და ამ სიმაღლეზე არის ფანჩატური, მასზე აღმართული დროშით – „ბაქანი მშვენიერება“. იგრძნობა, როგორი დიდებული ხედია იქიდან. სადგური ნიკოლაევო ცემის ზემოთაა 658 ფუტზე (94 საჟენი), 2 ვერსის სიგრძეზე, პირდაპირი მიმართულებით, ტყით, სოფლის გზისკენ საითაც არ უნდა გაიხედო, გაოცებული რჩები ბუნების სიდიადით, ეს სილამაზე უერთდება ერთმანეთს და ერთ მთლიანობას ქმნის ღია-ცისფერ ცასთან, ნათელი მზის გაცოცხლებული სხივებით და არომატული ჰაერით.

ბუნების ეს საოცარი სილამაზე და საოცარი ჰაერი, რომელსაც კმაყოფილი შეისუნთქავთ, სამკურნალოდ მოქმედებს ნერვებზე, გრძნობთ, თუ თქვენი სულიერი მდგომარეობა როგორ ჰარმონიაში მოდის ირგვლივ მდებარე სილამაზესთან, რაც გავიწყებთ ცხოვრებისეულ სიძნელეებს და ამ დროს გახსენდება ლერმონტოვის ლექსი...

სადგური ცემი მდებარეობს პლატოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზ.დ.-დან 3.654 ფუტის სიმაღლეზე და წაღვერზე 287 ფუტით მაღლა. სადგურიდან სამხრეთით სოფელი ცემია. აქ თითქმის არ არის აგარაკები, მაგრამ არის ადგილობრივების რამდენიმე პატარა სახლი, რომლებსაც აქირავებენ. სამომავლოდ იგი, რა თქმა უნდა, მშვენიერი სააგარაკო ადგილი იქნება. რკინიგზის გაყვანის შემდეგ ადგილობრივები ცდილობენ გაალამაზონ თავიანთი საცხოვრისი ზაფხულში გასაქირავებლად. ბორჯომის მამულის ამ ნაწილში ბევრგან დაგეგმილია აგარაკების ასაშენებელი მონაკვეთების გაცემა, რომელსაც იძლევიან გრძელვადიანი უმნიშვნელო გადასახადით.

ცემში არის ეკლესია, რომელიც ლამაზ ადგილზე მდებარეობს. იგი ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ 1895 წელს აშენდა და წმინდა იოანე წინასწარმეტყველის სახელობისაა.

სადგურის მშვენიერმა განლაგებამ, ზომიერმა კლიმატმა, ნესტის უქონლობამ, საკმაოდ მაღალმთიანი ადგილის ჰაერმა, ბუნების მშვენიერებამ, მიიქცია გზების უფროსის ყურადღება. მას გაუჩნდა იდეა, გაეხსნა ტუბერკულიოზით და ციებ-ცხელებით დაავადებული რკინიგზელებისთვის და მათი ოჯახებისათვის სანატორიუმი. არჩევანი ცემზე შეჩერდა. იდეა სისრულეში იქნა მოყვანილი.

სადგურთან ახლოს განალაგეს 6 დიდი კარავი, აშენდა სამზარეულო, სასადილო. 28 ივნისს პირველი ავადმყოფები ჩამოიყვანეს პეტრე-პავლობის დღესასწაულზე. გზების უფროსის, ექიმების, მომსახურეების და ავადმყოფების თანდასწრებით გადახდილი იქნა პარაკლისი და ცემის პლატოზე აღმოცენებულ სანატორიუმზე აღმართეს დროშა.

2 ½ თვის განმავლობაში სანატორიუმმა დიდი სამკურნალო დახმარება გაუწია ადამიანებს. ამ დროის მანძილზე 150-ზე მეტი ავადმყოფი სრულად გამოჯანმრთელდა და განა შეიძლება ცემში იყო და შენი ციებ-ცხელება ბუნების ამ მშვენიერებას შეეთვისოს? უნებლიეთ, გგონია, რომ ამ სილამაზეში ნებისმიერი ავადმყოფობა განიკურნება.

დასავლეთით, სადგერის გვერდზე და სანატორიუმის სადგომთან მიემართება სოფლის გზა, რომელსაც მივყავართ პლატოზე, სოფელ ტბაზე (სადგერის ტბასთან), სადაც იგი, სადგერის გავლით, პირდაპირი გზით, უერთდება ბორჯომიდან პლატოთი ბაკურიანს (ციხისჯვრის გზით, რომელიც ზემოთ ვახსენეთ).

სადგურ ცემსა და სოფელს შორის ბილიკით შეიძლება დავეშვათ და ჩამოვიდეთ რკინიგზის ხიდთან, რომელზეც თქვენ გადაიარეთ, არ მისული წაღვერამდე. ამ გზით წაღვერში ცემიდან ფეხით 10-15 წუთში მიხვალთ.

ცემის სადგურიდან გზა მარცხნივ უხვევს. ერთ ვერსზე ღია ადგილია, რომელიც მიდის ტყის პირას. შემდეგ კი ამ ტყეში იკარგება და მდ. გუჯარულას ხეობიდან ჭრის წყალგამყოფს და გადადის მდ. ბორჯომულას ხეობაში, რომელიც უფრო ლამაზია, მაგრამ ველური და თითქმის გაუვალი. ერთი პანორამა იცვლება მეორეთი. ჰაერი გაჟღენთილია წიწვების არომატით. ასე მიდის გზა ტყის გავლით, ბაკურიანამდე.

ტყის დასაწყისიდან, ერთი ვერსის გავლის შემდეგ, მატარებელი (ბოლომდე 19 ვერსია), მკვეთრად უხვევს მარცხნივ და მეოცე ვერსის ბოლოს უკან უხვევს, პარალელური მიმართულებით, უბრუნდება მდ. ბორჯომულას ფერდობს. ამ ადგილზე სალიანდაგო ხაზი ყველაზე საოცარ მოხრილობას ქმნის. დასავლეთის მიმართულებით თითქოს კონცხს ქმნის, აკეთებს 4 პარალელურ ზიგზაგს, ბოლოდან გადადის მდ. ბაკურიანულას ფერდობზე და 23-ე ვერსზე ჩერდება სადგურ ნიკოლაევოსთან.

სადგურ ნიკოლაევომდე არ მისული, 12 საჟენზე, ხეზე, თქვენ დაინახავთ დაფას წარწერით: „გზა ბაქან მშვენიერებამდე“. ეს ბაქანია ის ფანჩატური, რომელიც ცემიდან დავინახეთ.

აქედან მარცხნივ, მოწყობილი გზით, ფანჩატურამდე, 30 საჟენია. ამ ფანჩატურიდან გადაშლილი ხედი სრულად შეესაბამება მის სახელწოდებას და არ არსებობს სიტყვები, რომ აღიწეროს ეს მთის მწვერვალები, ხეობები და ა.შ. თავბრუ გეხვევა და თვალები გეღლება.

ცემის პლატო და მისი სადგური, სოფელი და სანატორიუმი, ხელის გულივით ჩანს. სადგურის პირდაპირ, ხრამის თავზე, ასევე მოწყობილია ფანჩატური, საიდანაც ჩანს ბაკურიანი და ახალქალაქის შარაგზა, საპირისპირო მხრიდან.

სადგურ ნიკოლაევოზე მატარებელს დგომა უფრო მეტხანს აქვს, ვიდრე სხვა სადგურებზე (20 წუთი). დგომის დრო გაზრდილია, რათა მგზავრებს საშუალება მიეცეთ გადავიდნენ ბაქან „მშვენიერებასთან“ და დატკბნენ მისი სილამაზით.

გამცილებელი მიყვება მგზავრებს და ამიტომ თქვენ არ რისკავთ დააგვიანოთ მატარებელზე, თუმცა იმ ადგილამდე 10 წუთიც საკმარისია.

სადგურს აქვს პავილიონი, სადაც შეგიძლიათ ცივი კერძები და გამაგრილებელი სასმელები მიირთვათ.

სადგური ნიკოლაევო 4,312 ფუტის სიმაღლეზეა ზ.დ.-დან. ამ სადგურთან სოფელი არ არის და ამიტომ მას დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის სახელი დაერქვა. მისგან 8-9 ვერსის მოშორებით არის სოფელი თორი.

სადგურ ნიკოლაევოსთან, 4 ვერსის მანძილზე, გზა მიემართება მდ. ბაკურიანულას ფერდობზე, შემდეგ გადადის მდ. ბორჯომულას ფერდობზე, 25-ე ვერსზე გადის ღია მინდორში „პატარა ცემი“ და ორი მოსახვევის შემდეგ ისევ ტყეში იმალება, სადგურ საკოჭავამდე.

სადგური საკოჭავი 27-ე ვერსის ბოლოსაა, 4 ½ ვერსის სიგრძით (4.489) ნიკოლაევოდან 462 ფუტით ზემოთ. სადგური ტყეშია განლაგებული, მთის ფერდობზე.

მთელი ეს ადგილი საკოჭავის მიჯნად იწოდება (1,376). ქართულად სოკო-გრიბ. მართლაც აქ ბევრი სოკოა, ადგილობრივი სახელწოდება ბერისწყაროა. გადმოცემით, ახლანდელი რკინიგზის სადგურის ადგილას, ძველ დროში მონასტერი ყოფილა წყაროებთან, რომელიც მდებარეობს ხევში, სადგურიდან 100 საჟენის მოშორებით. თუმცა აღნიშნული მონასტრის კვალი არ ჩანს, მაგრამ შეიმჩნევა ოდესღაც აქ არსებული ნაგებობების ნანგრევების კვალი. გარშემო უამრავი ვაშლისა და მსხლის ხეებია, რომლებიც, შესაძლოა, ბერების ხელით იყო დარგული.

წყაროები ხევში ქმნიან პატარა მდინარეს, რომელზეც დაშენებულია სარკინიგზო წყლის საქაჩი, საიდანაც წყალი მილებით მიეწოდება ნიკოლაევოს სადგურს. აქედანვე ცემენტის მილებით წყალი მიდის ბორჯომამდე, ვორონცოვის პარკში. მისგან საჭირო რაოდენობა ელექტროსადგურისთვის გამოიყენება (მინ. წყლების პარკში). ნამატი იღვრება ამ პარკში, მდ. ბორჯომულაში, შესანიშნავი ჩანჩქერის სახით. წყლის გადაყვანის ადგილას, სადგურ ნიკოლაევოსთან, მოწყობილია რაბი და დგას სადარაჯო ჯიხური, მის მოპირდაპირედ კი 15-20 საჟენის სიმაღლის ჩანჩქერია. ეს წყალგაყვანილობა 1897 წელს იქნა მოწყობილი.

ამ ადგილებში თამარ მეფის დროინდელი წყალგაყვანილობა არსებობს, რომელიც სათავეს ცხრაწყაროს წყაროებიდან იღებს, ზემოთ ბაკურიანია და მიემართება ქვის ღრმულისაკენ საკოჭავის, ნიკოლაევოს მიმართულებით, ცემის პლატოთი – სადგერში. ბაკურიანის ხაზის მშენებლობის დროს წყალგაყვანილობას მცირე რემონტი გაუკეთდა და წყალი მიეწოდება როგორც სასმელად, ასევე სხვა საჭიროებებისათვის.

სადგურ საკოჭავის ხევის ფერდობზე უამრავი ჟოლო, მაყვალი და ველური შავი მოცხარია. სადგურის იქით გადის ციხისჯვრის სასოფლო გზა, რომელიც სადგურიდან 4 ვერსში გადადის ციხისჯვრის გზაზე. ამ გზების შესაყართან (1 ვერსამდე) საკოჭავის დასახლების და აქ მდებარე ეკლესიის ნანგრევებია. გადმოცემის მიხედვით, ისინი მინისძვრის დროს დაზიანებულა.

სადგურ საკოჭავიდან გზა ტყის გავლით მიემართება ბაკურიანისკენ. აქ ხეთა ჯიშები უფრო მრავალფეროვანი ხდება, წიწვოვანი ტყე იცვლება ფოთლოვანით. აქ გვხვდება მუხა, ნეკერჩხალი, არყი, მსხალი და სხვა.

29-ე ვერსის ბოლოში, სარკინიგზო ხაზის ზემოდან, გვხვდება რკინა-ბეტონის ვიადუკი. ციხისჯვრის გასავლელად, კიდევ ½ ვერსის გავლის შემდეგ, ხელისგულივით მოჩანს სოფელი თორი, თავისი მშვენიერი ხეობით და მასზე საირმოს ქედით, დასავლეთით – კოდიანის პირამიდული მთით, რომლის ძირში 1891 წლის ზაფხულში ცხოვრობდა ტახტის მემკვიდრე, აწ განსვენებული, გიორგი ალექსის ძე. სამხრეთით ცხრაწყაროს ქედია. 30-ე ვერსის დასაწყისიდან ბაკურიანამდე გზა მიემართება ბაკურიანულას მარცხენა ფერდობზე,

→

საიდანაც მტკვრის ხეობის ხედები იშლება, ჩრდილო-სამხ. შორეული მთები და ვახტანგის ქედია, რომელიც იმერეთს გამოყოფს ქართლისაგან.

დაბოლოს, 34-ე ვერსზე მატარებელი ტყიდან გამოდის ღია მინდორზე საყვირით და თქვენ ბაკურიანში ხართ.

ზემოთ აღწერილი გასეირნების შემდეგ კარგ მადაზე მოდიხართ და თქვენს განკარგულებაშია ბუფეტი, სადაც შეგიძლიათ ფანჩატურის გარდა ღიად, ჰაერზე მოთავსდეთ და ცივი საჭმლების გარდა, ცხელიც მიირთვათ.

სადგური ბაკურიანი ზ.დ.-დან 5425 ფუტის სიმაღლეზეა და 651 ფუტით მაღლაა სადგურ საკოჭავზე.

მაშასადამე, ბორჯომიდან გამოსულები თქვენ ახვალთ 2863 ფუტის (409 საჟ.) სიმაღლეზე.

სადგურიდან სამხრეთით, 100 საჟენის მოშორებით, ბაკურიანულას მარცხენა სანაპიროზე, ახალქალაქის შარაგზის ორივე მხარეს, ფიჭვნარში, მდებარეობს სოფელი ბაკურიანი. სოფელშია ეკლესია, რამდენიმე აგარაკი, სასოფლო სკოლა (მოსახლეობა 300 სულამდეა). აქ საუკეთესო ამინდები ივნისის შუა რიცხვებიდან იწყება და სექტემბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება. ადგილის სიმაღლე და ჰაერი გაჟღენთილია ფიჭვის სურნელით – რითაც იზიდავს ტუბერკულიოზით და ციებ-ცხელებით დაავადებულებს. აქ შეიძლება შეიძინოთ საუკეთესო რძე და რძის პროდუქტები. ბაკურიანიდან 12 ვერსში, დასავლეთით, ბორჯომის მამულის რძის ფერმაა, სადაც 100-მდე ჯიშიანი ძროხა ჰყავთ ჰოლანდიური თუ სხვა ჯიშის. ამ ფერმიდან რძე ყოველდღიურად იგზავნება ბორჯომში.

ბაკურიანში კერძო სასტუმროები ჯერ არ არის. ამიტომ ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის განკარგულებით, ამა წლის 20 ივნისიდან, ღიაა რკინიგზის სასტუმრო, რომლისთვისაც გამოყოფილია სადგურის ერთ-ერთი შენობა, სამგზავრო შენობასთან ახლოს.

ამ სასტუმროს ნომრების ფასი ძალიან მცირეა, მხოლოდ მისი შენახვის ხარჯების დასაფარად, ამ სასტუმროთი სარგებლობის წესები მოთავსებულია შენობის ბოლოში, განსაკუთრებული დანართით.

ბაკურიანიდან 25 ვერსში (15 ვერსი ახალქალაქის შარაგზით „სტოროჟკამდე“ (სტოროჟკას უწოდებენ ცხრაწყაროს ძირში მდებარე სადგურს) მდებარეობს თვალწარმტაცი ტაბაწყურის ტბა. ეს ტბა ვულკანური წარმოშობისაა. 8 ვერსის სიგრძის და 3 ვერსის სიგანის, ზ.დ.-დან 6200 ფუტზე, გარშემორტყმულია მთებით.

ტბასთან სომხური სოფელი მოლითია და კიზილკილისი, ტბაში კალმახი ბუდობს, რომლის წონა 28 ფუტს აღწევს, ტბა ვაჭრებს აქვთ იჯარით აღებული. თევზჭერა ხდება 9 თვის განმავლობაში, 15 ნოემბრიდან 15 თებერვლის ჩათვლით კი მკაცრად იკრძალება. 15 დეკემბრიდან ტბა იყინება.

ბაკურიანიდან სამხრეთ-დასავლეთით, შარაგზიდან ცოტა ზემოთ, დაახლოებით 7 ვერსზე, ყველაზე მაღალი მთის – ცხრაწყაროს ქედის მისადგომებთან, მდებარეობს სანისლო (9.352 ფუტ.), ბერძნული სოფელი ციხისჯვარი, ლამაზად არის განფენილი ჩრდილოვან ფიჭვნარში და ცნობილია თავისი სამკურნალო, მაღალი ტემპერატურის (32ºC) გოგირდოვანი წყლებით, რომლებიც ძალიან სასარგებლოა ნევრალგიების, სურავანდის და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. აბაზანებს მოიჯარეები ინახავენ. ისინი პირველყოფილ მდგომარეობაშია მოწყობილი. მთავარი წყარო თლილი ქვის ოთხკუთხედ აბაზანაში მდ. აბანოსწყლის ნაპირზეა, აუზთან აგებულია ხის პატარა შენობა, რომელშიც სამი აბაზანაა.

განსაკუთრებული შენობა ავადმყოფებისთვის, ერთი სახლის გარდა რამდენიმე ოთახით, აქ არ არის. ამ წყაროს სიამოვნებით იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა, რომელსაც სჯერა მისი სამკურნალო თვისებების.

ციხისჯვარში არის ეკლესია.

ამ სოფლის გზა საკმაოდ თვალწარმტაცია.

ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან, ბაკურიანს აკრავს ტყიანი მთის ქედები. თრიალეთის ქედის სამხრეთი დაფარულია ფოთლოვანი ტყით, მის შემდეგ, ჩრდილოეთის მხარეს კურუსების ქედია, აღმოსავლეთით – კონუსური ფორმის მთა, ნახევრად ტყით დაფარული. კოხტასა და კურუსების ქედებს შორის არის გადასასვლელი სოფელ მიტარბში, ცხრაწყაროს ქედის სამხრეთით და მისი კლდოვანი მწვერვალი, იგივე სახელწოდებით 8.389 ფუტ სიმაღლეზე. სნორედ ეს არის ის მწვერვალი, რომელსაც ბევრი სტუმრობს, რათა დატკბნენ მისი ხედებით.

იქ წასვლა შეიძლება ივნისის ნახევრიდან. როცა დათბება, ჰაერი სუფთა და გამჭვირვალეა და მწვერვალზე ასვლა ისეთი გათვლით უნდა მოხდეს, როცა ჯერ კიდევ ბნელა, ვიდრე გაიღვიძებს სამყარო.

ყველაზე საინტერესო სანახაობა მზის ამოსვლაა. ამ დროს თქვენს თვალწინ გადაიშლება დიდებული ხედი, რომლის ხილვითაც სუნთქვა გეკვრებათ.

თუმცა ბაკურიანში შეიძლება იშოვოთ საჯდომიანი ეტლი ან ცხენი, რომ მიხვიდეთ ცხრაწყარომდე და იქ ღამე გაათენოთ, მაგრამ საჯდომიან ეტლს ყოველთვის არ იძლევიან ადგილების საფასურის მიხედვით და, საერთოდ, კავშირი ბაკურიანსა და ცხრაწყაროს შორის უკეთესს ითხოვს. ცხრაწყაროს ძირში, ბაკურიანიდან 15 ვერსში, სამხრეთით, ბორჯომის მამულის ადმინისტრაციის მიერ აგებულია შენობა, სპეციალურად ღამის გასათევად ტურისტებისთვის. ეს შენობა საკმაოდ ნორმალური 6-8 ოთახისაგან შედგება. აქ ცხოვრობს ტყის მცველი და შემომტარებელი, რომლებიც ემსახურებიან მწვერვალზე ამსვლელებს.

შენობაშია საწოლები, ლოგინი და სუფთა თეთრეული, რომლითაც უფასოდ შეიძლება ისარგებლოთ. ასევე შეგიძლიათ სამოვარითაც ისარგებლოთ. რაც შეეხება სურსათს, თქვენთვის იგი ბაკურიანში ან ბორჯომში უნდა შეიძინოთ. სადგომიდან მწვერვალამდე 1 ½-2 საათია ფეხით სავალი.

ბაკურიანიდან 2 ვერსზე, ცხრაწყაროს გზისდან იწყება სათიბები. აქ თქვენ უკვე ივნისის თვეში დაინახავთ უსასრულოდ აბიბინებულ სხვადასხვა ფერის ყვავილებს. თითქმის ერთი ვერსის სიგრძეზე გზა ყვავილებითაა მოფენილი. მხოლოდ მეოთხე ვერსზე იწყება აღმართი და გზა ბოლომდე იკლაკნება ცხრაწყაროს დასავლეთ ქედზე. იგივე ადგილიდან წიწვოვანი ტყე თანდათანობით გადადის ფოთლოვანში. ტყე ხდება მეჩხერი და ბოლოს სულ ქრება და იწყება მაღალი ბალახი.

აღმართი ისეთი შესამჩნევია, რომ ადგილები, რომლებიც ახლა გამოვიარეთ, უკვე დაბლა გვეჩვენება.

ბორჯომისა და გუჯარეთის ხეობები უერთდება სადგერის პლატოს, რომელიც ხეობად გვეჩვენება ლიბანისა და დაბის ქედებს შორის. იქიდან მოჩანს ციხიჯვრის დასახლება. აი მივადექით „სტოროჟკას“ გაჩერებას და დასაძინებელს (ზ.დ.-დან 7500 ფუტზე).

ღამის ორი საათისთვის დარაჯი გაღვიძებთ, რომ მზის ამოსვლისთვის ადგილზე იყოთ. საგუშაგოდან გზა ერთი ვერსის მანძილზე, შარაგზის შემდეგ, უხვევს მარცხნივ და ქრება. თქვენ მიდიხართ მთის საკმაოდ დამრეც ფერდზე, რომელიც მაღალი ბალახითაა დაფარული.

ბალახი ნამითაა დაფარული და ამიტომ რეზინის ფეხსაცმელია საჭირო. საერთოდ, თბილად უნდა ჩაიცვათ, ვინაიდან ადრიან დილით აქ ცივა. აი, როგორც იქნა ცხრაწყაროს მწვერვალი და თქვენს ფერხთით მთელი სამეფო გამოჩნდა. ჯერჯერობით არაფერი არ ჩანს. სურათი ნელ-ნელა იშლება, მზის პირველი სხივების გამოჩენისთანავე მნახველთა თვალი მიპყრობილია აღმოსავლეთით, ცხრაწყაროს ქედის მიმართულებით და საყველოს მთის მწვერ-

ვალისკენ. აღმოსავლეთის გამოღვიძებით ცაზე ბოლო ვარსკვლავები ქრება და ამავე დროს, შორს, მარცხნივ, ჰორიზონტის ჩრდილო-დასავლეთის კიდეზე ეცემა მზის პირველი სხივი იალბუზზე (18.725 ფუტ.) და მის ორთავიან მწვერვალს ანათებს. მას მოჰყვება იგივე მიმართულებით უშბას კონუსური მწვერვალი (სვანეთის მთავარი მთა), ნათდება თეთნულდი, დიხტაუ (17096 ფ.), ყაზბეგი (16546 ფ.), მარჯვნივ ბარბალი (10806 ფ.), კიდევ უფრო მარჯვნივ დაღესტნის მთები და ბოლოს კავკასიონი 500 ვერსის გასწვრივ. გარშემო ყველაფერი იწვის და იძრება გამოღვიძებული მზის სხივებში.

მწვერვალზე მყოფები მდუმარედ ესიყვარულებიან ამ ჯადოსნურ სანახაობას. როგორც არ უნდა გამოიყენო მცირე შესაძლებლობაც კი, რათა ეს მოგზაურობა განახორციელო. ვიდრე ჰაერი ცივია და გამჭვირვალე, მკვეთღად მოჩანს მთელი ახალქალაქის მაზრა და ქალაქი ახალქალაქი. ამბობენ, რომ კარგ ამინდში, ჭოგრიტით შეიძლება შავი ზღვაც დაინახო (ფოთის პორტი).

მზე სწრაფად მიიწევს ზევით, იწყება აორთქლება და მწვერვალის ძირში ჩნდება ვერცხლისფერი ღრუბლები.

ნისლიან ამინდშიც თავისებურად ლამაზი სურათია, როცა თქვენს ზემოთ ღრუბლების ზღვაა და კავკასიონი და მისი მწვერვალები დგანან თქვენს წინაშე მთელი თავისი სიდიადით.

წესები

იმ პირთათვის, ვინც სარგებლობს ამიერკავკასიის რკინიგზის სასტუმროთი სადგურ ბაკურიანში:

1.სასტუმრო შდგება ოთხი ნომრისაგან: ორი – ოროთახიანოსაგან და ორი –თითო ოთახისაგან;

2.ამ საცხოვრებელ სახლში ერთი ოროთახიანი ნომერი დღე-ღამოს განმავლობაში ღირს 2 მანეთი, ერთოთახიანი ნომერი კი – 1 მანეთი;

სამი დღე-ღამის შემდეგ გადასახადი ორმაგდება. იმის გამო, რომ სხვა მსურველებსაც მიეცეთ საშუალება ისარგებლონ სასტუმროთი;

3. სამოვარის გამოყენებისთვის და ჩაის ჭურჭლით სარგებლობისთვის თითოეულ სამოვარზე გადასახადია 20 კაპიკი;

4. სასტუმროს მოსამსახურის გამოყენების გამო განსაკუთრებული გადასახადი არ გეკუთვნით;

5. სასტუმროს მაცხოვრებლები ვალდებულნი არიან დაიცვან პოლიციის ყველა მოთხოვნა, რომელიც შეიძლება მათ წაუყენოს რკინიგზის ჟანდარმერიის პოლიციამ და არაფრით დაარღვიონ საზოგადოებრივი სიწყნარე.

6. წესრიგზე საერთო დაკვირვება სასტუმროში ევალება სადგურ ბაკურიანის უფროსს, რომელსაც შეუძლია მიმართოს სასტუმროს მაცხოვრებელმა ნებისმიერი სახის გაუგებრობის შემთხვევაში;

7. გადასახადი ნომრის და სამოვარის სარგებლობისთვის ეძლევა სადგურ ბაკურიანის უფროსს ანგარიშით, რომელიც ყოველდღე წარედგინება სასტუმროს მოსარგებლეს.

8.გაფუჭებული საგნებისთვის, გარეხული მინისთვის, ჭურჭლისა და სხვ. სასტუმროთი მოსარგებლე ვალდებულია გადაუხადოს სადგურის უფროსს განსაკუთრებული საფასურით, რომელიც გამოკრულია ყოველ ნომერში, საერთო ცნობისთვის.

შემდგენელი პ. ლინევიჩი, 12 ივნისი, 1903 წელი.
თარგმნა თამარ მანველიშვილმა

მინაწერი:

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა ბატონმა ავთანდილ ბერიძემ დიდი პატივი დაგვდო და გაზეთის ორი ნომერი დაუთმო ბორჯომ-ბაკურიანის უნიკალური ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის 120 წლის წინანდელ ისტორიას.

ამ რკინიგზამ ნამდვილად გაუძლო ათწლეულების მანძილზე ცარიზმის და კომუნისტური საზოგადოების ბიუროკრატიულ მართვის თუ ავტორიტარული რეჟიმის უმკაცრეს ქარტეხილებს და უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის განვითარებისა თუ ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო ზონაში ჩამოსული ტურისტების მომსახურების საქმეში. ეს უნიკალური რკინიგზა განსაკუთრებით საყვარელი იყო და არის ჩვენი მოზარდი თაობისათვის. ხომ გახსოვთ შესანიშნავი პოეტის მაყვალა მრევლიშვილის შესანიშნავი ლექსი და კომპოზიტორ მერი დავითაშვილის მუსიკის ჰანგებზე შექმნილი სიმღერა:

„ჩემო პატარა გუგულო,
პატარა მატარებელო,
მთელი ბორჯომის ხეობის
გულის გამხარებელო.
ხმა გაქვს ისეთი მჭექარე,
ისეთი ომახიანი,
ცემში რომ გუგუს დასძახებ,
ხმას გაძლევს ბაკურიანი“...

ვინ მოთვლის, რამდენი თაობა გაიზარდა ამ სიმღერის ჰანგებზე, რამდენი ათასი მოზარდი დაატკბო ბორჯომ-ბაკურიანის მომხიბვლელმა უნიკალურმა ბუნებამ, რამდენი უცხოელი ტურისტი დარჩა გაოცებულ-გაოგნებული ულრან ტყეში გაყვანილი რკინიგზის სილამაზით...

სხვათაშორის, არც მეფის რუსეთის და არც კომუნისტების მმართველობის პერიოდში ერთი დღითაც არ შეწყვეტილა პატარა მატარებლის მოძრაობა, დღეში ორჯერ ქშენა-ქშენით მიუყვებოდა აღმართ-დაღმართიან დაგრეხილ გზას და ახარებდა მგზავრებს.

ახლა, ახლა როგორ არის „პატარა მატარებლის“ რკინიგზა, რა წვლილი შეაქვს თავისუფალი ქვეყნის მშენებლობაში?

მოკლედ ვიტყვი, არავითარი! ერთ დროს ანდეზიტის წარმოების პროდუქცია, რომელიც ათასობით ტონობით მოიპოვებოდა და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით ბორჯომამდე ჩამოქონდათ და მერე ათობით საზღვარგარეთის ქვეყანაში გაქონდათ ქიმიურ მრეწველობაში ნედლეულის სახით, დღეს საწარმო მთლიანად გაპარტახებულია და ამ ნედლეულის მოთხოვნილებაზე საუბარი ზედმეტია. საკოჭავიდან ანდეზიტის საწარმომდე 5 კილომეტრიანი რკინიგზის ლიანდაგების დიდი ნაწილი მოიპარეს და დამნაშავეები დღემდე თავისუფლად დადიან.

მწყობრიდან გამოვიდა თვით რკინიგზაც, დალპა განძელები (შპლები) როგორც დავადგინე, ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის 62 500 განძელი ესაჭიროება, დღემდე მხოლოდ 12 000 არის შეცვლილი, რკინიგზელები წელს 2 000 ცალ განძეს ელოდებიან. გაპარტახდა რკინიგზის უნიკალური სადგურები (დაბა, წაღვერი, ცემი, ტბა, ლიბანი). ამორტიზირებულია სამგზავრო ვაგონები, 60 წლის წინათ შემოყვანილი ელმავლები, დეპოს მუშა-მოსამსახურეთა თავგანწირული შრომის შედეგად დღესაც „სუნთქავენ“, ორიოდე წლის წინათ ,,პატარა მატარებელი“ ავად თუ კარგად კიდევ ასრულებდა თავის მოვალეობას, მერე ელმავალის მხოლოდ ერთი ვაგონი ძლივს აყავდათ ბაკურიანამდე, ამ ვაგონით დღეს მხოლოდ რკინიგზის მუშები დაყავთ და არც ერთი მგზავრი ვაგონში არაა. „პატარა მატარებელს“ ვინ ჩივის, ერთადერთი მატარებელი დადიოდა ბორჯომსა და თბილისს შორის და მეორე წელია ბორჯომელებს მატარებელი თვალითაც აღარ გვინახავს.

მიზეზი „ცნობილია“, სამგზავრო მატარებელი ზარალიანი ყოფილა და მხოლოდ ,,ბორჯომის“ მინწყლით დატვირთული ვაგონები მოძრაობს ბორჯომსა და თბილისს შორის. ხაშურიდან ბორჯომამდე ყველა სადგური და ბაქანი გაპარტახებულია.

როდის გარემონტდება რკინიგზის ხაზი და შენობა-ნაგებობები, როდის განახლდება მატარებლების მოძრაობა, არავინ იცის. არადა, 2023 წლისთვის ბაკურიანში ზამთრის სპორტის სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. ხოლო 2025 წელს კიდევ უფრო მასშტაბური ღონისძიებაა დაგეგმილი. დღემდე უცნობია საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი აპირებს თუ არა ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის აღდგენას.

გაზეთი „ბორჯომი“ არა ერთხელ წერდა ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო ზონაში არსებულ პრობლემებზე, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გასაჭირზე, რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელებს სპეციალური წერილიც გავუგზავნეთ რკინიგზის სადგურების და ბაქნების სავალალო მდგომარეობის თაობაზე. სამწუხაროდ, პასუხიც დღემდე არავის გამოუგზავნია.

არაერთხელ გავაჟღერეთ ჩვენი ოცნებაც, – ამ 30 კილომეტრიან უნიკალურ რკინიგზის გასწვრივ შესაძლებელია მოეწყოს ქართული „დისნეილენდის“ მსგავსი ბავშვთა გასართობი ატრაქციონები და ეს რკინიგზა გამოყენებული იქნას ბავშვთა დასვენების და გართობის ზონად, მაგრამ, ჯერჯერობით, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“ ვინძლო, მსოფლიო ჩემპიონატის წინ მიხედონ ამ უნიკალურ რკინიგზასაც!

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი

ნაბეჭდი ფაზეთის საიუბილო საღამო

ბორჯომ-ქალაქის მკვიდრთ ვინ გააკვირვებს ღონისძიებებით, – მასშტაბური იქნება თუ ადგილობრივი მნიშვნელობის, მაგრამ დასამახსოვრებელი ღონისძიებებით კი მართლა განთქმულია საკურორტო ქალაქი, რომელსაც არც სტუმარი აკლია და არც გულითადი მასპინძლობა. ვერც აქ გამართული საიუბილეო საღამოებით გააკვირვებ ვერავის, თუმცა დღესასწაული ისაა, რომელიც გადღესასწაულებს, სიამოვნებას მოგანიჭებს და სულიერადაც ლამაზ განწყობასაც შეგიქმნის.

გაზეთ „ბორჯომის“ 90 წლისთავის საიუბილეო საღამოც სწორედ ასეთი აღმოჩნდა, რომელიც მუსიკალური სკოლის ახლადგარემონტებულ სააქტო დარბაზში ჩატარდა „კოვიდ-პანდემიის“ რეგულაციების სრული დაცვით, რომელიც განსაკუთრებული აქტივობებით იყო დახუნძლული. ფოიეში წარმოდგენილი იუბილარი, 90-წლოვანი ისტორიის მქონე გაზეთის ფოტო-კოლაჟი უნებლიედ გიზიდავს და გიჩნდება სურვილი ახლოს გაეცნო მის წარსულს, – თითქოს დავიწყებული სახეები შენს თვალწინ ცოცხლდებიან და მზად ხარ თაყვანი სცე მათ, რომლებმაც თავიანთი მხრებით სიზიფესავით ზიდეს ეს მძიმე ტვირთი და განწყობას გიქმნიან – შენც იგივენაირად ემსახურო შენს საყვარელ ადამიანებს, მთლიანად მუნიციპალიტეტს, რადგან იცი, გჯერა, დრო გვიჩვენებს, რომ უკვალოდ არაფერი არ ქრება, ათწლეულების შემდეგ ფესვგადგმული შენი ძარღვიანი „სიტყვათა კონა“ საშვილთაშვილო ნაყოფს გამოიღებს და მომავალ თაობებს შეახსენებს – „ვისი გორისანი არიან“.

საიუბილეო საღამოზე საინტერესო, ვრცელი მოხსენება იუბილარი გაზეთის რედაქტორმა, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა და ბორჯომის საპატიო მოქალაქემ **ვალერიან ლომიძემ** გააკეთა.

გაზეთის შემოქმედებით კოლექტივს ღირსეული იუბილე მიულოცეს სახელმწიფო რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთის მხარეში **ბესიკ მირიანაშვილმა,** ბორჯომის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **დავით ზაალიშვილმა**, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ, ადგილობრივმა პოეტმა **იზო სარქისიანმა,** სახალხო მთქმელმა **ჯემალ ბიბილურმა** და სხვ. (20-მდე გამომსვლელმა), რომლებმაც ისაუბრეს იმ განუსაზღვრელად დიდ წარმატებებსა და დამსახურებებზე, რომელიც გაზეთის რედაქციამ ამ პერიოდში მოიპოვა.

ღონისძიების მსვლელობისასკულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა მომღერალ-მგალობელთა

გუნდმა „მზეშინამ“, შეასრულა სხვადასხვა მუსიკალური ნომრები. შემდეგ ვალერიან ლომიძემ გაზეთში აქტიური თანამშრომლობისათვის საპატიო სიგელები გადასცა გაზეთის როგორც ძველ, ასევე ამჟამინდელ თანამშრომლებს, კორესპოდენტებს და იმათ, ვისაც გაზეთთან აქტიური თანამშრომლობა აკავშირებთ, ხოლო თავად იგი საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა ქართული პუბლიცისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დააჯილდოვდა სერგეი მესხის სახელობის პრემიით.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ ბორჯომის მერიის, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის პასუხიმგებელი მუშაკები და მოწვეული სტუმრები.

ავთანდილ მესხი

გვეიმედებით, ჩვენო თემურ!



თანამედროვე ცხოვრებაში მართლაც სანთლით საძებარი გახდა ქვეყანაზე, თავის კუთხეზე, ოჯახზე, ჭეშმარიტად შეყვარებული ადამიანი, რომლისთვისაც ამ გაუსაძლის ყოფიერებაში მთავარი არა ხორციელი ცხოვრება, არამედ იმ სულიერი საზრდოთი არსებობაა, რომელიც ადამიანს, პირველ რიგში, რწმენას უძლიერებს. მათთვის არსებობის მთავარი აზრი სულის საზრდოს ძიებაშია. როგორც ერთი დიდი მწერალი ბრძანებდა – სულის პურია პირველადი საზრდო, ადამიანმა სულიერი სიმშვიდე რომ მოიპოვოს.

დღეს, როცა ყველაფრის ძალა და განმსაზღვრელი, სამწუხაროდ, „ხელის ჭუჭყია“, რისთვისაც ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას მისი მოპოვება სულის გაყიდვითაც კი ძალუძთ, მათ გვერდით კაშკაშა ვარსკვლავებად ჩანან მოყვასის სიყვარულით და მათზე ზრუნვით გულანთებული ადამიანები, რომელთა ცხოვრების აზრი სიკეთის თესვაა, სიჭარმაგეში სიყვარულითვე რომ იმკიან.

რა დიდებულად ჟღერს ჩვენი საყვარელი პოეტის იოსებ ნონეშვილის გენიალური სიტყვები:

„წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,
ესეც თურმე გმირობაა დიდი“!

ახლახან ამ წუთისოფელს ბოლომდე მართლა კაცად შემორჩენილ მამულიშვილს – საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, პუბლიცისტს, ბორჯომის დიდებულ მოქალაქეს, ბატონ **თემურ ხუხუნაიშვილს** 75 წელი შეუსრულდა. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კაცურ-კაცობით, ქართული სიდარბაისლით, მოყვასისათვის ერთგულებით, მეგობრისადმი მეგობრული ურთიერთობით გაატარა და დიდებული ადამიანის სახელიც დაიმკვიდრა.

აკი ვამბობთ, სანთლით საძებარია დღეს ჭეშმარიტი ადამიანები, რამეთუ, ამ ცხოვრებამ მეტი საფიქრ-სადარდებელი მოგვიტანა ადამიანებს და დიდი გამოცდის წინაშეც დაგვაყენა. თუმცა, თამამად ვიტყვით: ბატონმა თემურმა ცხოვრების ეს დიდი გამოცდა წარმატებით ჩააბარა და ამაყად დადის დღეს ბორჯომ-ქალაქში ვალმოხდილი, იუბილარი ადამიანი.

ბატონმა თემურმა, როგორც დიდებულმა შემოქმედმა, არაერთი საყურადღებო სტატია, პუბლიკაცია, ესსე შექმნა, რომელთა დიდ ნაწილს ჩვენი რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კარგად იცნობს. ჩვენ კი, დიდ სიამოვნებას გვანიჭებს ის, რომ მისი არაერთი სტატია, პუბლიკაცია, განსაკუთრებით დიდაქტიკურ თემატიკაზე, მკითხველებმა ჩვენი გაზეთის მეშვეობით გაიცნო.

ჩვენს დიდ მეგობარს და თანამოკალმეს ბატონ თემურს წრფელი გულითა და დიდი სიყვარულით ვულოცავთ ღირსეულ იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს თავის საყვარელ ოჯახთან და ერთგულ მეგობრებთან ერთად.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სახელით,

ავთანდილ ბერიძე

ამოწყვეტული ერთი ცოცხლიანის ფარაბაბ

ტოპონიმიკა (ბერძნულად topos - ადგილი, onuma - სახელი) არის ონომასტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეისწავლის ტოპონიმებს, ანუ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, მათ მნიშვნელობას, აგებულებას და წარმომავლობას, განსაზღვრავს მათი გავრცელების არეს. ტოპონიმთა ერთობლიობას ტოპონიმია ეწოდება.

ჩვენთან, სამცხე-ჯავახეთში, ბევრი საინტერესო და ისტორიული ტოპონიმია, რომლებიც, დროთა განმავლობაში, დავიწყებას მიეცა. ერთ-ერთი ასეთი ტოპონიმი **„კაპნის გზაა“.** იგი მდებარეობს სოფელ ქვემო სხვილისის მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ, სადაც დგას მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ თანასოფლელთა მემორიალი. ამ მემორიალს დაჰყურებს კლდე, რომელიც ძალიან წაგავს თივის კაპნას.

ჰ. ლინჩი, 1901წ.

პირველი ქალაქი თუ დიდი სოფელი, რომელიც დავინახეთ, სუფლისი (სხვილისი - რედ.) იყო, მდინარის მარჯვენა სანაპიროს სიმწვანეში ამოზიდული. მის უკან მთის მასივი გაშლილიყო, რომელსაც მდინარე გარს უვლიდა; ბრტყელი სახურავები ფენებად განლაგებულიყო და დიდად არ განსხვავდებოდა ტერასებისაგან. რამდენიმე მინარეთის ვერტიკალური ზოლი შორიდანვე ჩანდა. გიხილავთ კი ოდესმე მსგავსი ტიპიური მაგალითი აღმოსავლეთის შეფენილი დაბისა?

ამ ტოპონიმით ჩემი დაინტერესება გამოიწვია იმან, რომ იგი მოხსენიებული აქვს მღვდელ მამა ივანე გვარამაძეს პოემაში, რომელიც ასახავს ტრაგიკულ მოვლენას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ახალციხის ფაშების კარზე.

გაგაცნობთ ამ პოემის მცირე ამონარიდს:

„ხელმანდილი გარდააგდეს, სახე-ლამაზს
გიშრის თმასა,
მაშინ ატირდა ხანუმი, ცრემლნი
გარდმოსდინდა თვალსა:
ვაი შენ ჩემო ქალობავ, გაფუჭდი
ამ ქვეყანასა!
იჯექ და სვამდე ყავასა, სულ არ
გახვიდოდი კარსა,
არვის თავსა უყადრემდი და არც
შეხედემდი სხვასა,
დღე - ღამ გულს სისხლი გდიოდა,
ვერც დებს ხედემდი, ვერც ძმასა.
ეს სიტყვები მაშინ მოსთქვა ტკბილის
სულის ამოსვლასა:
წამიღეთ და იქ დამმარხეთ, სხვილისის
კლდის კაპნის გზასა,
გამვლელნი და გამომვლელნი
მაყვრიდნენ ვაგლახს და ვასა,
ფაშამ რომ მნახოს, ატირდეს, თუნდ თავი
ახალოს ქვასა.
რომ უმანკო ასე მამკლა, ერწმუნა თავის
ბილწ ძმასა.
დაჯდა და წიგნად დასწერა, მტერთაც
დასწვემდა გულია,
მოკითხვა და ნახვის ნატვრა,
სასიყვარულო ვრცელია,
ყაფლანიანთ გაუგზავნა, წასაკითხავად
ძნელია:
მე ხელმანდილით დამახჩეს, ხომ არ
გამომჭრეს ყელია!“

„ახალციხურ ქრონიკებში“ ეს მძიმე ტრაგედია გადმოცემული აქვთ ორი სიტყვით, სადაც ვკითხულობთ: „1800 წ. ღვინობის 8. შარიფ ფაშის ხანუმი მხლებლებით დაახრჩეს სხვილისს“.*

პოემიდან და ქრონიკების ჩანანერიდან გამომდინარეობს, რომ ხანუმი (თამარ ორბელიანი) მხლებლებით იმყოფებოდნენ ფაშების „ციხის გარეთა“, სხვილისის ციხე-რეზიდენციაში, სადაც შარიფ ფაშამ ძმის მიერ ცრუ დასმენით დაახრჩობინა უდანაშაულო

უმწეო ქალები.

თამარ ორბელიანი, ანდერძის მიხედვით, დაკრძალეს ფაშების საგვარეულო სასაფლაოზე, იმ ადგილზე, რომელსაც ერქვა „კაპნის გზა“. დღეს თამარ ორბელიანის საფლავი შემორჩენილია თითქმის თავდაპირველი მდგომარეობით. მის მცველად დგას და თავს დაჰყურებს კლდის მასივი, რომელიც ძალიან წაგავს თივის კაპნას, რის გამოც ჩვენი წინაპრები საქარავნო გზის ამ ნაწილს ეძახდნენ „კაპნის გზას“.

გეოგრაფიულად აქვე და მიმდებარე ხეობაში გვაქვს რამდენიმე საინტერესო ძველი ტოპონიმები: ნასოფლარები – ნავანები, მარიამწმინდა, ნავანების მთა, მდინარე ბორბოლა და, აქედან მომდინარე, სარწყავი

რუსეთის იმპერიაში 1879 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის დროს (სხვილისში. რედ.) დაფიქსირებულია 16 მუსლიმი ქართველის ოჯახი. ამ დროისათვის სოფელში ორი მეჩეთი მდგარა.

არხი საინტერესო მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, ნასოფლარი არყისციხე, თვით ციხე-სიმაგრე არყისციხით და მასთან დაკავშირებული – თურქთა წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის ადგილი, მდინარე ბორბოლას გასწვრივ მიმავალი საქარავნო გზა და სხვა.

აქვე, სხვილისის ვაკეებზე, 1853 წლის 14 ნოემბერს გენერალ-ლეიტენანტმა ივანე ანდრონიკაშვილმა 7000 მოხალისე ქართლელი ჯარისკაცით დაამარცხა აწყურამდე შემოჭრილი ოსმალეთის 18 000-იანი ჯარი მეჰმედ ალი-ფაშას მეთაურობით. ამ ბრძოლაში ოსმალებმა დაკარგეს 3500 კაცი, ანდრონიკაშვილმა - 361 კაცი. დღეს ამ ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალი დგას ბრძოლის ადგილას, რომელიც აგებულია 1903 წელს.

რეზო ანდღულაძე, ისტორიკოსი

ნასესხები ლექსიკა და მისი მკვლევარი

ცნობილი ირანისტი **ნომადი ბართაია** მრავალმხრივი მოღვაწეა: მისი ლირიკული პოეტური გნომები ორიგინალური და ერთობ კოლორიტულია; სამეცნიერო დებულებები ხშირად მოულოდნელი სიამოვნებით გვავსებს; მკვლევარი საჭიროებისას მთარგმნელის საქმესაც გულდაგულ შეეჭიდება და აღებულ აღმოსავლურ ტექსტებს გერგილიანად გადმოიღებს; არც ბიოგრაფიულ-დოკუმენტური ნარკვევებისა და იუმორისტული ნაწარმოებების შეთხზვა-შედგენაში დაუდებს ვისმე ტოლს. ამ ბოლო ხანებში ყურადღებით იკვლევს ქართული ენის ხვავსა და ბარაქას – ლექსიკურ ფონდს. მეცნიერი იძიებს და ადგენს აღმოსავლური ლექსემების შემოსვლის გზებსა და ფონეტიკურ-აზრობრივ ტრანსფორმაციებს. ამ მხრივ გაწეული მისი ღვაწლი ისე თვალსაჩინოა, ენათმეცნიერულად ბრმასაც კი თვალს აუხელს. პროფესორის ამ ტიპის წიგნები პერიოდულად გამოდის და ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

ამჟამად ჩვენ წინაშეა 80-გვერდიანი ნაშრომი ,,სპარსულიდან შემოსულ აღმოსავლურ თემატურ ნასესხობათა შესახებ ქართულში“ (2021).

წიგნი წინასწარ ყურადღებით გადაუკითხავთ პროფესორებს ქალბატონ **ფატმან ანთაძე-მალაშხიასა** და ქალბატონ **მანანა კვაჭაძეს.**

ცნობილი ამბავია: სპარსულ ნასესხობათა გამოსავლენად და შესასწავლად დიდი შრომა გასწია **ნიკო მარმა.** მას უკან ამ საქმეში ყველაზე დიდი ღვაწლი მიუძღვის **მზია ანდრონიკაშვილს**, ვისი მონოგრაფიაც ამ მხრივ ისევე სამაგიდოა, როგორც **სულხან ორბელიანის** ,,ლექსიკონი ქართული“. იმას, ვისაც აღნიშნული სფერო ცოტად თუ ბევრად მაინც უკვლევია, ეგ შეფასება გადამეტებულად არ მოეჩვენება. უფრო თამამ განცხადებასაც არ მოვერიდებოდი: მითითებული ასპექტით მუშაობა თუ ძველებურად გააგრძელა, შესაძლოა, მესამე სამაგიდო წიგნის ავტორად **ნომადი ბართაიაც** ვიხილოთ.



მკვლევარს ამჟამად დაუჯგუფებია და წარმოუდგენია თემატური პრინციპით შერჩეული საკუთრივ სპარსული ან სპარსული გზით შემოსული არაბული წარმომავლობის ნასესხები სიტყვა-ცნებანი. ამავე დროს, საყურადღებოა, რომ პირველად არის გამოვლენილი და გაანალიზებული საერთო სპარსულ-ქართული ხმაბაძვითი სიტყვები.

სულ განხილულია 76 ლექსიკური ერთეული და ეგ ცოტა როდია!

არც ის არის მისაყურისძირებელი, რომ ცნებანი დალაგებულია თემატურად. ესენია: **1. სავაჭრო; 2. საჭადრაკო; 3. სამუსიკო; 4. რელიგიური; 5. მცენარეული; 6. ხმაბაძვითი; 7. ფორმაუცვლელი სიტყვა-ტერმინები.**

კიდევ ერთხელ არის დასაბუთებული, რომ **აბაზი** და **შაური** შაჰ-აბასის მიერ მოჭრილი მონეტებია; რომ **დახლი** და **დახლიდარი** მწყურვალივით შეიწოვა ჩვენმა ენამ; რომ **თუმანი** რამდენიმე მნიშვნელობით დამკვიდრდა; რომ **მაღაზია** არაბულ-სპარსულში არის საწყობი, უნივერსალური სავაჭრო, ცისტერნა, საცავი (9); არ იქნებოდა ურიგო, აქვე ეთქვათ: რუსულში დაცულია მისი **საცავისმიერი** მნიშვნელობა; მაგ. გამოთქმაში магазин автомата.

ჩემი, როგორც რუსთველოლოგის, ყურადღება მიიქცია ცნებამ – **ფარა,** კერძოდ, მისმა პირველმა მნიშვნელობამ: **ნაჭერი, ნატეხი, ნაკუწი.** ამ წიგნში არაა ნახსენები, ოღონდ მე მივუთითებ: ეგ ფარა დადასტურებულია ჩვენს სიტყვაში **ფარატინა** ქაღალდი (ქაღალდის ნაგლეჯიო). კიდევ მეტი, დავბეჭდე საგანგებო წერილი, სადაც ვუჩვენე: ,,ვეფხისტყაოსნის“ ერთ გამოტოვებულ სტროფშიც იკვეთება საძიებელი სიტყვა ამ ფორმით: **ფარ-და-ფარ-და.**

ტარიელმა რომ ერთი ხატაელი ძმა ,,მათრახითა შეამწიფნა“ და დაბნედილი ცხენიდან ძირს ჩამოაგდო, ძმები უხსნიან ავთანდილს: ძმას რომ მხოლოდ მათრახით ასეთი დღე დააყარა, ჩვენ რომ მას შურის საძიებლად გავკიდებოდით, მაშინ ხმალსაც წაავლებდა ხელს და ,,ფარ-და ფარ-და“ დაგვჭრიდა და დაგვჩეხავდა. ამიტომაც თავი მივანებეთ და ძმას მივსცვივდით საშველადო.

საინტერესოდ არის გამოძიებული **ხურდა.** არ იქნებოდა ცუდი, სპარსულში მოძებნილიყო ჩვენში არსებული ფორმის **ხურდა-მურდა** მეორე ნახევარიც.

აღმოსავლური ჩასაბერავი საკრავი **ზურნა** გამოწვლილვითაა განხილული. ბოლოში ნათქვამია: თავმომაბეზრებელი ხმის გამო მას უარყოფითი შინაარსიც მიეღიაო, ოღონდ არაა მოყვანილი თუნდაც ერთი მაგალითი (27). აქ მოუხდებოდა ხალხური ფრაზა: ,,ჰაი და ზურნა შენ!“

დიდ ინტერესს იწვევს სემანტიკური ოდენობები: **სამაია, ჩანგი** (35). ამ უკანასკნელთან დაკავშირებით არ იქნებოდა ზედმეტი, ავტორს ეხსენებინა აკაკის ფორმა **ჩანგური.** აკაკი ამოდის არა **ჩონგურიდან,** არამედ **ჩანგ** ფორმიდან. ასე მივიღეთ მისი **ჩანგური** – პოეზიის სიმბოლო. ასევე **პიტნა** სიტყვაზე მსჯელობისას უნდა ხსენებულიყო ზმნა **მეპიტნავება.**

აღმოჩნდა, რომ სიტყვები **ლაქლაქი, ლაყლაყი, ნუღნუღი** (ალბათ **ლუღლუღიც!), ყიყლიყო, ყლუპყლუპი, ჭივჭივი, ჭიკჭიკი, ჯახაჯუხი** და ბევრი სხვა სათავეს იდებს სპარსულში (50-59).

საგანგებოდ აღვნიშნავ: უაღრესად საინტერესოა მსჯელობა კავშირზე **ქერომ** (68-63). ეგ საუბარი ერთობ დამაჯერებელი და სარწმუნოა.

ამრიგად, წიგნის სახით ჩვენ წინაშეა ქართული ლექსიკის კვლევის საგულისხმო ფაქტი.

მურმან თავდიშვილი

ეუსხელ ეგოს თავგადასავალი

ჩემს ბავშვობაში ხანდაზმული ადამიანები ხშირად გვიყვებოდნენ მესხეთის მოსახლეობის თავგანწირული ბრძოლების და მათი საგმირო საქმეების შესახებ, რომელსაც აწარმოებდა 1918-1921 წლებში თურქებისა და სხვა მომხდურების წინააღმდეგ. მახსოვს, ხშირად ახსენებდნენ მუსხელ ეგოს, რომელიც გულადი კაცი ყოფილა და მეგობრობდა თურქების წინააღმდეგ ასევე მებრძოლ ჩვენი სოფლის – ჭობარეთის მკიდრთან ვანო ინასარიძესთან (ჟოტო-ვანოსთან) და მის მიერ შექმნილ დაჯგუფებასთან. ბავშვობის დროს გაგონილი დავიწყებას მიეცა და ვცდილობდი მის შესახებ რაიმე ინფორმაცია მომეპოვებინა, მაგრამ ვერ შევძელი. ამას წინათ, დაბა ასპინძაში ყოფნისას, ავთანდილ ბერიძესთან ჩემ საუბარს შეესწრო ასპინძელი იაგო გორელიშვილი. მან გვითხრა, რომ იგი მუსხელი ეგოს შვილიშვილი იყო და დედამისისაგან გაგონილი ჰქონდა ეგოს თავგადასავალი. რა თქმა უნდა, მაშინვე გამოვძებნე სასაუბრო ადგილი და მისგან ბევრი საინტერესო მასალა ჩავიწერე. აქვე აღვნიშნავ, რომ ამავე პერიოდში მესხეთში მოხდა მაჰმადიანი მესხების აჯანყება, რის გამოც მაშინდელმა ეროვნულმა მთავრობამ სასწრაფოდ გაიყვანა ქართული სამხედრო ნაწილები სამცხე-ჯავახეთიდან და ადგილობრივი მოსახლეობა უპატრონოდ მიატოვა, რის შემდეგაც მესხეთში თურქული შენაერთები შემოვიდნენ, რომლებიც მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გავიდნენ. გაქცეულმა მოსახლეობამ კი მოგვიანებით შეძლო მშობლიურ კერიას რომ დაბრუნებოდა. 1920 წლის ზაფხულში თურქეთის ჯარმა ხელმეორედ დაიკავა მესხეთი, საქართველოს ხელისუფლებამ ისევ უბრძოლველად ჩააბარა ეს ტერიტორიები. სწორედ აღნიშნულ პერიოდს ეხება ეს ამბავიც.

ადგილობრივი მოსახლეობა თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდა და დიდ წინააღმდეგობასაც უწევდა თურქებს. ამ ბრძოლაში დიდძალი მოსახლეობა დაიღუპა, მაგრამ მაინც შეძლო თვითმყოფადობის შენარჩუნება. ამასთან დაკავშირებით არსებობს მრავალი ინფორმაცია იმ გმირი ადამიანების შესახებ, რომლებიც თავგანწირვით ებრძოდნენ თურქ დამპყრობლებს, მაგრამ, დროთა განმავლობაში, დაიკარგა და რომ არა რამდენიმე დაინტერესებული მკვლევარი, ის რაც გადარჩა, ისიც დაიკარგებოდა და ვერავინ გაიგებდა ვერც იმ ადამიანების და ვერც მხარის რეალურ უახლეს ისტორიას, რაც მესხეთმა გადაიტანა 1918 1921 წლებში.

მუსხელი ეგოს ნამდვილი სახელი იაგორ მოსეს ძე ოქრომელიძე იყო. იგი დაიბადა ახალციხის მაზრის სოფელ მუსხში (ძველა მუსხი). ბავშვობაში იგი ძალიან ცოცხალი, ყურადღებიანი და მოხერხებული ყოფილა. იაგორი მშობლებს აღსაზრდელად ძველი მუსხის მეზობლად მდებარე სოფელში – იენგიქვევში მეგობარი თათრის (მაჰმადიანი მესხის) ოჯახისათვის მიუბარებიათ. ვინაიდან მუსხში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, მათ ჩათვალეს, რომ იმ დროისათვის აუცილებელი იყო თურქული ენის ცოდნა, ბავშვი ამით დაცულიც იქნებოდა თურქებისგანაც. ეგო წამოიზარდა თუ არა, ოჯახს დაუბრუნდა.

ერთ დღეს იგი სტუმრად იმყოფებოდა სოფელ იენგიქვევში თავისი აღმზრდელებთან. საღამოთი მან შეამჩნია რომ სოფლის ცენტრში მოსახლეობის დიდ ჯგუფს მოეყარა თავი. სადაც სამი უცხო მამაკაცი მოსულიყო და თათბირს ატარებდა. ისინი არწმუნებდნენ, – ღამით თურქული დამხმარე ჯარი შემოვიდოდა და ერთობლივად დაეცემოდნენ სოფელ მუსხს და მთლიანად ამოხოცავდნენ მოსახლეობას, ხოლო მათ ქონებას იენგიქვეველებს გადასცემდნენ. იაგორმა (ეგომ) როგორც კი გაიგო ეს ამბავი, იმ წამს ფარუღად გადავიდა მუსხში. რადგან უკვე დაღამებული იყო და ხალხს ეძინა, იძულებული გახდა ეკლესიის ზარი დაერეკა. ხალხიც მაშინვე მოგროვდა ეკლესიასთან. ეგომ მათ დაწვრილებით აუხსნა, რაშიც იყო საქმე და მოსახლეობაც უმალ გაიხიზნა. განთიადისას სოფელში შესულ თურქებს იქ აღარავინ დახვედრია, შესაბამისად, ვერც ხალხი დახოცეს, ვერც სოფელი გაძარცვეს.

ეგო დაქორწინებულა ღრელელი ნებაძის ქალზე, ამ დროს სიტუაცია ძალიან დაძაბული იყო და მესხეთში მცხოვრები ქართველი მამაკაცების დიდი ნაწილი მოხალისედ ჩაეწერა ეროვნულ გვარდიაში, მათ შორიც ეგოც. ისინი საომარ პოზიციებზე გაამწესეს სოფელ ანდრიაწმინდასთან. ვინაიდან გზები შეკრული ყოფილა, სოფელში ტყვია-წამალი ვერ შეჰქონდათ, ახალციხეში ვინც გააგზავნეს ტყვია-წამლის მოსატანად, თათრებმა ყველა მათგანი დახოცა. ბოლოს ეგომ გამოთქვა სურვილი – მარტო წავალ და ტყვია-წამალს შემოვიტანო. მართლაც, იგი მოხერხებულად გაეპარა თათრის ყარაულებს, ჩავიდა ახალციხეში და ცხენებით წამოიღო ტყვია-წამალი. როგორც კი ტყემდე მოუღწევია, ერთ წაქცეულ ხეზე ნაბადი გადაუფარებია, ვითომ ადამიანს ძინავსო, გვერდით ცხენები მიუმბია და თვითონ დამალულა. ამ დროს მოპარულა სამი თათარი და ნაბადს დაუწყეს სროლა, ეგომ კი ზურგიდან მოუარა მათ და სამივე გამოასალმა სიცოცხლეს. ასე მოახერხა სოფელში ოთხი ცხენით დატვირთული ტყვია-წამლის შემოტანა.

ეგო სამი თვის განმავლობაში ოჯახში ვერ მისულა. როგორც სოფლელები ამბობდნენ, მისი მეუღლე თათრებს მოსწონებიათ, სამი თათარი ახალპატარძალს სახლში ჩუმად შევარდნია, საწყალი გოგო ჯერ გაუუპატიურებიათ, შემდეგ კი მოუკლიათ.

ანდის ომში ქართველებმა გაიმარჯვეს და მოხალისეები სახლებში დაბრუნებულან. დაბრუნდა ეგოც თავისი ცხენით, რომელსაც ლეილა ერქვა. როგორც ამბობენ, სოფელში დაბრუნებული ეგო ცხენსაც აცეკვებდა და ისე მოდიოდაო. სახლში რომ მისულა, ცოლი მოუკითხავს. მეზობლებს უთქვამთ, – შენი ცოლი მშობლებთან, სოფელ ღრელში წავიდაო. მოგვიანებით კი მათ სოფელში მცხოვრები ერთი მოხუცი ქალისთვის უთხოვიათ, ეგოსთვის სიმართლე მას ეთქვა. ამ ქალმა ენის ბორძიკით ძლივს უთხრა, – შენი ცოლი თათრებმა მოკლესო, მაგრამ ვერ დავადგინეთ, ვინ იყვნენო. ამ ამბის გაგონებისთანავე იგი გააფთრებული გავარდნილა სახლიდან და დიდი ხნის განმავლობაში აღარ გამოჩენილა. ბოლოს ისიც გაირკვა, რომ ახალგაზრდობა როდესაც ომში გაუწვევიათ, ადგილობრივ თათრებს, მალულად, ბევრი ქართველი დაუხოციათ, რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობას შურისძიება გადაუწყვეტიათ და ყოფილი გვარდიელებისაგან შეუქმნიათ ჯგუფი, რომელსაც ეგოც შეერთებია. ამ ჯგუფში ცხრა კაცი ყოფილა გაერთიანებული, რომელთაგან ორი ახალციხელი (რაბათელი) იყო, ხუთი – ჭობარელი და სამიც – მუსხელი. ეგოს დაუდგენია მისი ცოლის მკვლელების ვინაობა, მათ შორის ერთი რუსთაველი ყოფილა. სამივე დაუჭერიათ, წაუყვანიათ ჩრდილის ტყეში, აღიარებინეს დანაშაული და სამივე იქვე დახოცეს.

იმ დროს სოფელ მუსხის თავკაცი ყოფილა ჯინჭველაძე, რომელიც მოულოდნელად თათრებმა მოიტაცეს, ტყეში ხეზე მიაბეს და მისი განთავისუფლების სანაცვლოდ თავკაცის ოჯახს მოსთხოვეს დიდძალი ოქრო. ჯინჭველაძის დედა მისულა ეგოსთან და უთხოვია: – ჩემი შვილი იენგიქვეველმა თათრებმა მოიტაცეს და ჩრდილის ტყეში ჰყავთ ხეზე მიმბული, მის განთავისუფლების სანაცვლოდ კი ოქროს ითხოვენ, ჩვენ კი არც ოქრო გვაქვს და არც არაფერი გვაბადია, რაც გვქონდა, ისიც თათრებმა გაგვტაცესო. ეგომ თავისი ხალხი შეკრიბა. იგი განსაკუთრებით მეგობრობდა, როგორც ვთქვით, ჟოტო-ვანოსთან, რომელმაც თავისი ხალხი ჩრდილის ტყეში მოიყვანა და თავს დაუარა თათრებს, აქედან ეგოს მებრძოლები შეუერთდნენ და იმდენად მოულოდნელად მოხდინეს თავდასხმა, რომ თათრებმა იარაღის ხელში აღებაც კი ვერ მოასწრეს, ყველანი ადგილზე ამოხოცეს და სოფლის თავკაცი უვნებლად დაუბრუნეს ოჯახს.

ეგო ხელმეორედ დაქორწინდა და ცოლად შეირთო ზველელი კეკელა ზედგინიძე. ეგოს ჰყოლია პატარა ძმა ანდრია და და ნინო, რომელიც ერკოტაში იყო გათხოვილი. ერთ დღეს მის მოსანახულებლად წასულა. სოფელში რომ შესულა, დაუნახავს შეკრებილი ხალხი, რომლებიც მსჯელობდნენ, – იდუმალისა და ყამზის თათარს ბნელ ტყეზე გავლით ხალხი მიყავს და უნდა დავაბრუნოთო, მაგრამ ვერავინ გაბედა წასვლა. ეგოს უთქვამს: ერთი კაცი გამაყოლეთ და მათ მე დავაბრუნებო. ამ კაცთან ერთად ბნელ ტყეში მისულა. ეგოს უთქვამს ერკოტელისთვის, –შენ აქ დაჯექი, მე რომ თოფს სამჯერ გავისვრი, შენ ერთხელ გაისროლე, თათრები ოჯახებით არიან და სროლას მოერიდებიანო. როგორც კი თოფი გაისროლეს, თათრები მართლაც შეშინდნენ, ეგონათ, ალყაში მოგვაქციესო და დატყვევებული უკან დაუბრუნებიათ.

შემდეგ, ქვეყანა გასაბჭოდა და მშვიდობაც დამყარდა. ეგოს ექვსი შვილი შესძენია – გოგოები. როგორც სოფლის ყველა მოსახლე, მისი ოჯახიც „კოლხოზში“ განვერიანდა. შემდეგ დიდი სამამულო ომიც დაიწყო და ეგოც გაიწვიეს. ეგო ქერჩისთვის ბრძოლაში, წინა ხაზზე იბრძოდა თურმე და ამ ბრძოლაში დაღუპულა, მისი შვილები უპატრონოდ დარჩნენ, მაგრამ არ დაივიწყა ეგოს დიდი სიკეთე სოფლის თავკაცმა ჯინჭველაძემ, რომელიც ეგომ სიკვდილს გადაარჩინა, უპატრონა ბავშვებს და დაეხმარა მის ოჯახს სახლის აშენებაში.

იაგო გორელიშვილისაგან
ჩაიწერა გიორგი ჯვარიძემ
2021 წელს დაბა ასპინძაში

გილოცავთ!

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ულოცავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის წარმატებულ პედაგოგებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის“ სიგელებით დაჯილდოებას!

ნათელა ღლონტი

დაიბადა 1954 წელს ბორჯომში. 1971 წელს დაამთავრა ბორჯომის მესამე საშუალო სკოლა, 1977 წელს – ცხინვალის სამხატვრო პედაგოგიურ სასწავლებელი. წლების მანძილზე ხატვა-ხაზვის მასწავლებლად მუშაობდა ჯერ ბორჯომის N2, ხოლო შემდეგ – N1 საჯარო სკოლაში. მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი. იგი სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, მიღებული აქვს მრავალი დიპლომი, სიგელი. დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის, ბავშვთა ფედერაციის მიერ – „კეთილი ნების დესპანის“ და ბავშვთა აღზრდის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლისათვის – მედლებით.

მისი აღსაზრდელები ასევე სისტემატურად მონაწილეობენ ბავშვთა საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში, სადაც დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული.

ყავს ქალიშვილი და ერთი შვილიშვილი.

ოფელია კარსლიანი

ოფელია კარსლიანი დაიბადა 1954 წელს ქ. ბოგდანოვკაში. 1971 წელს დაამთავრა ქ. ბოგდანოვკის საშუალო სკოლა. 1977 წელს – ქ. თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის (რუსული ენა-ლიტერატურა) ფაკულტეტი. 1977 წლიდან დღემდე მუშაობს ქ. ნინოწმინდის N1 საჯარო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად.

1999 წელს მიენიჭა „წლის საუკეთესო მასწავლებლის“ წოდება. 2018 წელს დაამთავრა მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო 60 კრედიტიანი პროგრამა და მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

მისი მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ღონისძიებებში და იღებენ მონაწილეობას ოლიმპიადებსა და რესპუბლიკურ ტურნირებში და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ.

ბადრი კაპანაძე

დაიბადა1953 წელს ახალციხის რაიონის სოფელ ანში.

1970 წელს დაამთავრა ქ.თბილისის ვ.მ.კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლა და წარჩინებით დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფ. ანის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელად, ამავე სკოლის დირექტორად, ახალციხის N1 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, ამავე სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

2008-2009 წლებში იყო პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიანტი.

დაჯილდოებულია ი.გოგებაშვილის სახელობის საიუბილეო მედალითა და ღირსების ორდენით.

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ორი შვილიშვილი.

ლიანა მურადაშვილი

დაიბადა1967 წელს ასპინძის რაიონის სოფ. ხიზაბავრაში. დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა, შემდეგ ს.ს. ობელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტი და დღემდე მუშაობს ამავე სოფლის სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებად. მინიჭებული აქვს გეოგრაფიის უფროსი მასწავლებლის და ორ საგანში (სამოქალაქო განათეგასთან ერთად) სერთიფიცირებული პედაგოგია.

აქტიურადაა ჩართული სასკოლო პროექტებში.

მარგალიტა გოგატიშვილი

მარგალიტა გოგატიშვილი დაიბადა 1954 წელს ადიგენის რაიონის სოფ. ჩორჩანში. 1977-1982 წლებში სწავლობდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების და პედაგოგიკის ფაკულტეტზე. თავდაპირველად იგი ასწავლიდა სოფელ ზანავის საჯარო სკოლაში, ხოლო 1979 წლიდან დღემდე ლელოვანის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელია. წლების განმავლობაში იყო სოფელ იმერთუბნის დაწყებითი სკოლის გამგე.

აქვს 47-წლიანი პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება და არის ოთხი შვილის დედა.

ფოლკლორი

ბატონების მოშორების გამო

მოვიდა ის გაზაფხული,[1]
როს ნატრობდა დაჩაგრული,[2]
გულსაკლავად მომტირალეს
აწ დაუდგა სიხარული.

გაუვიდა ზამთარს ყავლი,
მისთვის გაჰქრა უცებ თოვლი,
გაიხსნა, უფალო, გზები,
ახლა კიდით-კიდეს მოვლი.

მას მერე მოვა აპრილი,
ელის ხალხი თავმოყრილი,
მოელის რაღაც სიხარულს
ქვრივი და ობლები მწირი.

მაისიც მოვიდა მალე,
შენ ზამთარო, დაიმალე,
გაიღვიძე, აწ დრო არი,
ვარდო, ტურფად გაიშალე.

მოდი ჩემო, თეთრო ხარო,
ჭკვიანი და კარგი ხარო,
საბჭომ მოგვცა ჩვენ სასმელად
იგი, უკვდავების წყარო.

შეგიბა წითელო ხარო,
მოვხნათ მინა ყოველგვარი,
თავისუფლად, უდარდელად,
ვთესოთ რაც საჭირო არი.

ბატონს აღარ მივცეთ ღალა,
რომელმაც ბევრჯერ დაგვღალა.
გაიხარე, ჩემო ხარო,
აღარა გვაქვს ხათაბალა.

ვმუშაობდით ორისთვინა –
მიმინო და ქორისთვინა.
მესამესაც გეტყვი ხარო,
იმ ჩვენ დიდი ღორისთვინა.

მითქვია და ვეტყვი ხარსა,
ყველა ჩვენ დაგვიჭერს მხარსა,
ყველგან ერთად ვიმუშავებთ,
ერთად მოვლით მთა და ბარსა.

მოდი, მომილოცე შიო,
ამ ტანჯვებს რო გადავრჩიო,
თავისუფლად ვიმუშავებთ
ლამაზ ვაკე-მინდვრებშიო.

შენც ხომ იცი, ძმაო, ილა,
ძველი ხიდი გატეხილა,
ჩვენ გავაკეთოთ ახალი,
გაგვითენდა ნატვრის დილა.

მთქმელი ვლადიმერ ბერუაშვილი, 53 წლის, ჩაიწერა ილია მაისურაძემ ახალქალაქის რაიონის სოფ. კოთელიაში, 1930 წელს, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპედიციის მასალები, N3100, გვ. 54

***

– სალამი მოხუცებულს!

– გაგიმარჯოს, ქვეყნის ხელმწიფევ!

... ცოლი შეირთო. გავლისას სალამი უთხრა მოხუცებულს:

– გამარჯობა, პაპავ!

– გაგიმარჯოს, ერთის ხელმწიფევ!

ვაჟს ძალიან ეწყინა, რომ ერთის ხელმწიფეთ მოიხსენია.

განვლო დრომ...

ვაჟმა გაანება ცოლს თავი, იფიქრა: წინეთ მსოფლიოს ხელმწიფეთ ვიხსენებოდი, ახლა ცოლის გამო მხოლოთ ერთის ხელმწიფე გავხდი.

ცოლს თავდანებებულმა რომ სალამი მისცა მოხუცს, მან უპასუხა:

– გაგიმარჯოს, ქვეყნის მასხარავ!..

ჩაიწერა ნიკო ასათიანმა 1938 წლის 11 მაისს ასპინძის რაიონის სოფ. რუსთავში. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, N ე 3120

1 მისივე ლექსის ვარიანტი იხ. „მესხური ფოლკლორი“, 2015, ტ.I,გვ.57

2 ჩამწერის შენიშვნა: ვლადიმერ ბერუაშვილი ნიჭიერი სახალხო მგოსანი იყო, მის მიერ გამოთქმული ლექსებიდან ზოგიერთი გამოქვეყნებული ლექსები „ლენინზე და სტალინზე“, „ჯავახეთ მოდით ქვეყნათ“, ჩაწერილი ჩემს მიერ, გამოქვეყნდა 1934 წელს გაზეთ „კოლექტივიზაციაში“ შოთას სახელობის კულტურული ლაშქრობის სერიაში. იგივე ლექსები შეტანილია „ხალხური სიტყვიერების საუნჯეში“ და კრებულში: „სიმღერები და ლექსები სტალინზე“, გადათარგმნილი რუსულად.“

ვლადიმერ ბერუაშვილი გარდაიცვალა კერ კიდევ ახალგაზრდა.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე

სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმერაბ ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit_ meskheti@yahoo.com